პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 იანვარი პარასკევი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 5 (15218)

ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმაც და ხუთწლედიც

ეხმაურებიან მოსკოველთა თაოსნობას

საბრძოველო საწარმოთა კოლექტივები, სამშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაციები აჯამებენ გასული წლის შედეგებს, სახავენ გზებს მიმდინარე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. წლის პირველმა დღეებმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა კოლექტივების დიდი ენთუზიაზმი, იმისათვის, მზადყოფნა, რომ წარმატებით შესრულდეს გაზრდილი პროგრამა. რაზმერვეების ძიებაში მიმდინარეობს ფართო კომპანია — ახალი ვალდებულებების აღება 1972 წლისა და ხუთწლედის ვადამდე განაღდებისათვის.

შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვით, საწარმოო პროცესების ტექნოლოგიის გაუჯობესებით გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, 1 პროცენტით შეამცირონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება, ობიექტები საექსპლოატაციოდ გადასცენ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით.

უკეთ გამოიყენონ სამშენებლო მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობის სიმძლავრე, ვადაზე ადრე დაამთავრონ სამშენებლო ტექნიკის კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება, გააფართოონ რაციონალიზატორული მოძრაობა და ამ გზით მიიღონ 270 ათასი მანეთი ეკონომია, დაზოგონ 900 ტონა ცემენტი, 100 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 300 ტონა საწვავი.

ახალი წლის პირველი დღეები ჯარგად დაიწყეს გვირაბმშენებლებმა. ყველა სამშენებლო უბანზე დავალებები გადაჭარბებით სრულდება. (სპ. კორ.).

ზესტაფონის ფეროშენაძნობათა ქარხანაში

ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოადნო ათასობით ტონა ლითონი, მიიღო 5.684 ათასი მანეთი მოგება, საიდანაც 1.209 ათასი ზეგეგმითია.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოველთა პატრიოტულ თაოსნობას და იკისრეს 1972 წლის გეგმა შეასრულონ 30 დეკემბრისათვის, ხოლო მეცხრე ხუთწლიანი გეგმა — 1975 წლის 25 დეკემბრისათვის და სამფოლოს მისცეს ათასობით ტონა ზეგეგმითი ლითონი, 1.600 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. მარტო რაციონალიზატორებმა ხუთწლედის ფონდში შეიტანონ 2.300 ათასი მანეთი.

მეტალურგებმა გამართულად დაიწყეს ახალი წელი. იანვრის პირველ ხუთ დღეში გეგმის ზევით გამოადნეს 145 ტონა შენადნობი. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ცვლები, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კ. მდივანი, ვეტერანი მეტალურგები ნ. გოგლიჩიძე, ი. ბარბაქაძე ხელმძღვანელობენ.

ახალი წლის პირველი დღეების დავალებები გადაჭარბებით შეასრულა 70-ზე მეტმა მდნობელთა ბრიგადამ. (სპპ. კორ.).

თბილისის ფაბრიკა „სექტრიკოტაჟში“

საწარმოს კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა 1971 წლის გეგმა. სამშობლოს დავალების შესრულება 27 დეკემბერს უპატაჟა და გეგმის გადამეტებით 180 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ფაბრიკის კოლექტივმა ღრმა ანალიზი გაუკეთა გაწეულ მუშაობას, გაითვალისწინა ახალი რეზერვები და ერთსულოვნად გადაწყვიტა: 1972 წლის გეგმა 27 დეკემბრისათვის შეასრულოს, ხოლო ხუთწლედისა — 1975 წლის 15 ნოემბრისთვის.

შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 5 პროცენტით აამაღლოს, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღოს ეკონომია და სამშობლოს მისცეს 10 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

გეგმასთან შედარებით პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გაადიდოს ერთი პროცენტით;

დაზოგილი ნედლეულისაგან გამოუშვას 8 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი.

ვალდებულებები განხილულ და მიღებულია ფაბრიკის აქტივის კრებაზე.

დიდი მოვლენა კოლმეურნეთა ცხოვრებაში

მეცხრე ხუთწლედის პირველმა წელმა სოფლის მშრომელებს დიდი, სასიხარულო წარმატებანი მოუტანა. ეს იყო მშობლიური პარტიის XXIV ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის თავდადებული შრომის და შემართების წელი, რომელმაც შესანიშნავი ტრადიცია — გამარჯვებათა ესტაფეტა გადასცა ახალ, 1972 წელს და უსურვა უფრო მეტი წარმატებანი, ხვავი და ბარაქა.

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები ანგარიშობენ, ანალიზს უკეთებენ წინა წელს გაწეულ მუშაობას, აჯამებენ შედეგებს და მტკიცე საფუძველს უყრიან მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის უხვ მოსავალს.

ახლა მთავარია ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა კიდევ უფრო განავითარონ მეცნიერული მიდგომა მეურნეობათა გაძღოლისადმი. წარმოებაში დანერგონ ყოველივე ახალი, პროგრესული, უფრო გააძლიერონ კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა დასახული გეგმების შესრულებისათვის; უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობები გეგმებს ასრულებდნენ ყველა დარგში, ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ყველაფერი ეს ამთავითვე უნდა გაითვალისწინონ რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა, გამგეობებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა. მით უმეტეს, როცა კოლმეურნეობები ემზადებიან თავიანთი დიდი ფორუმისათვის — საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებისათვის, რომლებიც სულ მალე დაიწყება და უნდა დამთავრდეს თებერვლის პირველ ნახევარში. ამ დიდი მოვლენისათვის სანამუშოდ მომზადება გადწყვეტეს შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას. სანამ გვიან არ არის, კოლმეურნეობებში ერთხელ კიდევ უნდა შევამოწმოთ ინვენტარიზაციის შედეგები, ბაგარკვიოთ, სად რა მდგომარეობა გვაქვს, რა გამოგვრჩა ამ სამუშაოს შესრულების დროს, და შეგჩნეული ნაკლი სწრაფად გამოვასწოროთ.

საანგარიშო დარგის მუშაკთა მოვალეობაა ზუსტად მოახდინონ შემაჯამებელი შედეგების ანალიზი, ყველა „წვრილმანის“ აღრიცხვა და მიიღონ ზომები წლიური ანგარიშებისა და საწარმოო გეგმების სრულყოფილად შედგენისათვის. ცხადია, ეს რთული საფუშაოა. მაგრამ ამთავითვე მიღებულმა ზომებმა უნდა უზრუნველყოს ამ საქმეში შეფერხების დროულად გამოსწორება. როგორც ცნობილია, სწორი აღრიცხვა მეურნეობის სარკეა. მასში ნათლად უნდა ჩანდეს მთელი გაწეული მუშაობის შედეგები, ახალი ამოცანები, მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის რეალური, ეკონომიურად დასაბუთებული გეგმები და პერსპექტივები უახლოესი წლებისათვის.

მომდინარე წელს სოფლის მშრომელებმა უნდა გადახედონ თავიანთ რეზერვებს, შესაძლებლობებს და ეს საკითხები საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მსჯელობის საგანი გახადონ. საჭიროა მტკიცედ იქნას დაცული საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპი, ფართოდ გაიშალოს ჭანსაღი, საქმიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა. საარჩევნო კრებებმა გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების შემადგენლობაში უნდა აირჩიონ საქმისმოყვარული, გამოცდილი, მოწინავე ადამიანები, დასამალავი როდია ის, რომ წინა წლებში ზოგიერთ კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის ფაქტებს. წელს ეს არ უნდა გაგვიმორდეს. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ყოველი ღონისძიებით უნდა მიაღწიონ საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ დონეზე, საქმიანად, კოლმეურნეობის წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნების მტკიცედ დაცვით ჩატარებას.

კრებებზე ფართო ადგილი უნდა დაეთმოს საკოლმეურნეო სახსრების ხარჯვის ანალიზს, დაისახოს ღონისძიებანი ამ საქმეში დაშვებული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი, თუ როგორ მუშაობენ ლაგოდეხისა და ზუგდიდის რაიონების პარტიული ორგანიზაციები „სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული სახსრების გამოყენებაში ხელოვნურ დარღვევათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის კოლეგიურობის დადგენილების შესასრულებლად.

როგორც ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ადგილი ჰქონდა სახსრების არასწორად გამოყენებას. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის ექვს კოლმეურნეობაში 1971 წლის დამდეგისათვის არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დაუთავრებელი შენობებისათვის გაწეულმა ხარჯებმა 202 ათასი მანეთი შეადგინა. ლაგოდეხისა და ზუგდიდის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში სხვა სახის დარღვევებიც იყო. აქედან ჩანს, რომ ჯერ კიდევ არის კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით გათვალისწინებული ზოგიერთი მუხლის შეუსრულებლობის ფაქტები. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ზოგან შეასუსტეს კონტროლი კოლმეურნეობის გამეურნეობისადმი.

მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოების ზოგიერთ ხელმძღვანელს ჯერ კიდევ არ გამოუტანია სათანადო დასკვნები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებიდან „სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული სახსრების გამოყენებაში სერიოზულ დარღვევათა შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან ამ საკითხზე.

პარტია გვასწავლის, რომ რაც უფრო სწრაფია ეკონომიკის განვითარების ტემპები, მით უფრო მუდმივად უნდა იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება, მცირდებოდეს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება და ამ საფუძველზე შემდგომ უნდა გაუმჯობესდეს მშრომელთა კეთილდღეობა, სულ მალე სრულად უნდა დაკმაყოფილდეს მათი მუდმივად მზარდი მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე.

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებისათვის მზადების პერიოდში კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა, გამგეობებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა გულდასმით უნდა გადახედონ არსებულ მდგომარეობას და გამოასწორონ დაშვებული შეცდომები, მომავალში არ გაიმეორონ მსგავსი დარღვევები. საჭიროა ამ საკითხზე სათანადო დასკვნები გაკეთდეს კოლმეურნეობების საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანაა უზრუნველყონ ზუსტი, რიტმული, ეფექტიანი მუშაობა მეურნეობათა ყველა რგოლში, რათა მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის ყველა დავალება ვადამდე გადაჭარბებით შესრულდეს. ეს ფელი უნდა გადავაკიროთ სოფლის მეურნეობის ახალი, მძლავრი აღმავლობის წლად! მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი, ღვინო, ხილი, ციტრუსები, თამბაქო, ხორცი, რძე და ბოსტნეული. სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. ვამრავლოთ ხვავი და ბარაქა!

ა ი რ ა ი კ ი ს რ ე ს

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში

გასულ წელს 1970 წელთან შედარებით 10 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა. წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვა 526 ათასი მანეთის პროდუქცია და 462 ათასი მანეთით გადაჭარბა პროდუქციის რეალიზაციის დავალება. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე შრომის ტემპი კიდევ უფრო გაძლიერდა, ქარხნის ყველა უბანზე იანვრის 5 დღის დავალება გადაჭარბებით შესრულდა.

გუშინ ქარხანაში უჩვეულო გამოცოცხლება იყო. საწარმოს კოლექტივი ერთსულოვნად შეიკრიბა საერთო კრებაზე, სადაც მხარი დაუჭირა მოსკოველთა თაოსნობას და იკისრა გაზრდილი ვალდებულებანი 1972 წლის დავალებისა და ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

ელმავალმშენებლებმა გადაწყვიტეს: **ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ 1975 წლის 20 დეკემბრისათვის, ხოლო მიმდინარე წლისა — 25 დეკემბრისათვის.** ხუთწლედის გეგმის გადამეტებით გამოუშვან ოთხი სამგზისტრალო ელმავალი, მათ შორის ერთი — 1972 წელს, ხუთწლედში გამოუშვან 2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, 1972 წელს — 400 ათასი მანეთისა. შრომის ნაყოფიერება შესაბამისად გაადიდონ 7,5 პროცენტით და 1,5 პროცენტით; ხუთწლედში მიიღონ 500 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, 1972 წელს 70 ათასი მანეთი;

ხუთწლედში შეიმუშაონ და დანერგონ 1.500 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი 2 მილიონი მანეთი იქნება, ხოლო წელს დანერგონ 300 წინადადება და დაზოგონ 400 ათასი მანეთი;

ხუთწლედში გაუშვან ექსპერიმენტალური მაღალოტიანი ელმავლების საცდელი პარტია — 10 ცალი, 1972 წელს — 2 ცალი, კონსტრუქციისა და დამზადების ტექნოლოგიის გაუმჯობესებით მიაღწიონ იმას, რომ ელმავალ „ვლ-10“-ს 1973 წელს მიენიჭოს ხარისხის პირველი ჯგუფი, ხოლო 1975 წელს — ხარისხის ნიშანი; 1973 წელს აითვისონ ახალი ელმავლის „ეკ-14“-ის სერიული წარმოება და წარადგინონ იგი ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად, წელს გამოუშვან „ვლ-10“ ელმავლის გაუმჯობესებული საცდელი პარტია, გააუმჯობესონ და სრულყონ ელმავლის მთელი რიგი კვანძები, მოწყობილობანი, სისტემები, დაზოგონ დიდძალი შავი და ფერადი ლითონები, ელექტროენერგია, პირობითი საწვავი და სხვ. (სპ. კორ.).

მათ თავი ისახელეს

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მოწინავე მუშები ფართოდ გამოეხმაურნენ ინიციატივას — ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში. მათ შორის ერთ-ერთი პირველია საავარტო საამქროს ზეინკალი უშანგი თათაშვილი. იგი ყოველდღიურ დავალებას 180 პროცენტით ასრულებს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

ფოტო ბ. ბოგოსლისა.

თბილგვირაბმშენის სამმართველოში

თბილგვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივმა თბილისის მეტროპოლიტენის გარდა არაერთი მნიშვნელოვანი ობიექტი ააგო ქალაქად თუ სოფლად. გასულ წელს ვადაზე ადრე გადასცა საექსპლოატაციოდ თბილისის მეტროპოლიტენის ახალი მონაკვეთი სადგურ „300 არაგველიდან“ „სამგორამდე“, ქვეყნის სამსახურში ჩააყენა გორის მეფრინველეობის ფაბრიკის კომპლექსი და სხვ. გასულ წელს გეგმის გადამეტებით შესრულებულია 1 მილიონ მანეთისაზე მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

დადგნენ რა ხუთწლედის მეორე წლის შრომითს ვახტზე გვირაბმშენებლები ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ მოსკოველთა თაოსნობას და 1972 წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის იკისრეს ახალი გაზრდილი ვალდებულებანი: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 20 დეკემბრისათვის. სამეცხლოტაციოდ გაადასტონ შემდეგი ობიექტები: ლიკანის სანატორიუმის ორი კორპუსი — ოქტომბერში, პროფტექნიკური სასწავლებლის სასწავლო კორპუსი 600 მოსწავლისათვის — დეკემბერში, ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმები 740 სულისათვის — დეკემბერში, დაამთავრონ გორის მეფრინველეობის ფაბრიკის საცხოვრებელი ზონის მშენებლობა.

ვ ი ნ ა ი ს ა

ელექტრული ექსკურსიამძღოლი

ელექტრულებით იზრდება დამთავლიერებელთა ნაკადი მუზეუმებში. ექსკურსიამძღოლთა მუშაობა სულ უფრო დაძაბული ხდება. მათ დასახმარებლად რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტროს მექანიკურ ქარხანა „ურალეფმა“ შექმნილი ელექტრონული თანაშემწე.

საგამოფენო დარბაზების დამთავლიერებლებმა საკმარისია თითი დაჭირონ კნოპს პატარა ტუმბოზე და ავტომატური ინფორმატორი უამბობს მათ მუზეუმის ექსპონატების შესახებ. მაგნიტოფონისაგან იგი მით განსხვავდება, რომ მაგნიტოფონის ლენტი პერფოლენტის საშუალებით სინქრონულად დაკავშირებულია მბრუნავ პროექტორთან. ელექტრონული ექსკურსიამძღოლი გვიამბობს და სინათლის სხივით მიგვითითებს სურათზე ან დოკუმენტზე, რომელზეც ლაპარაკია.

პირველი სამი ასეთი აპარატი უკვე დაამზადეს და უკანასკნელ გამოცდას გადიან ქარხანაში. 1972 წელს ისინი თავიანთ სამუშაო ადგილებს დაიკავებენ ლენინგრადის რევოლუციის მუზეუმში და ნიჟნიტაგილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. (საკდესი).

ნიჟნი ტაგილი.

ე ლ ფ ო ვ ლ ი ო დ ღ ე ს

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ეკონომიკური ეროვნიკა

მოსკოვის მეტროს ახალი ხაზი

ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქის მშრომელთა მიტინგი

მოსკოვი, 5 იანვარი. (საკდესის კორ.). დღეს მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლებს დღესასწაული აქვთ. დამთავრდა ახალი სადგურების „ტურგენევსკაიას“ და „კოლობოვნაიას“ მშენებლობა. ეს მეცხრე ხუთწლედში მეტროს პირველი ახალშენებლობაა.

ახალი სადგურები ძალიან მოსახერხებელია მგზავრებისათვის. პირველად დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამდე გზა პირდაპირი იქნება, გადაუჭდომლად. მგზავრებს სულ 31 წუთი დასჭირდებათ, რომ „კალუჟსკაიას“ სადგურიდან იმგზავრონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამდე. ეს კი 22 კილომეტრია.

ახალი სადგურები განლაგებულია მგზავრთა ყველაზე ინტენსიური ნაკადების ადგილებში. სადგურებს „კიროვსკაიას“ და „ტურგენევსკაიას“ შორის გაყვანილია 104 მეტრიანი გვირაბი. ძირეული რეკონსტრუქცია განხორციელდა სადგურ „კიროვსკაიაში“. იგი ბევრად გაფართოვდა.

დღეს სადგურ „კოლობოვნაიას“ მიწისქვეშა ვესტიბიულში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა მეტროპოლიტენის ახალი ხაზის მშენებლობის დამთავრებასა და საექსპლოატაციოდ გადაცემას.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

„ხიდი კოსმოსში“

„იზვესტიის“ „კოსმოსური“ ბიბლიოთეკა ათობით წიგნს შეიცავს. მათგან პირველი წიგნი, რომელიც იური გაგარინის გმირობას მიეძღვნა, იმ ღირსსახსოვარ დღეებში გამოიცა. მას შემდეგ კარგ ტრადიციად დამკვიდრდა, რომ კოსმოსური სივრცის კვლევაში საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველ გამარჯვებას მიეძღვნას მცირეფორმატიანი წიგნი.

გასული ათი წლის მანძილზე ბიბლიოთეკის თაროებზე გაჩნდა: „700 ათასი კილომეტრი კოსმოსში“, „კოსმოსში ორნი არიან“, „ვარსკვლავავრცა ტრასების გმირები“, „კოსმოსში სამი საბჭოთა მოქალაქეა“, „ნაბიჯები კოსმოსში“, „მეათე სტარტი“, „ოთხეული ორბიტაზე“, „შვიდნი კოსმოსში“, „კოსმოსური მარათონი“, „მთვარის პანორამა“, „კოსმოსური ტექნიკის ორი სასწაული“, „ლუნა-16“ — კოსმოსური გეოლოგი“ და სხვ.

ბევრი, განსაკუთრებით „იზვესტიის“ „კოსმოსური“ ბიბლიოთეკის პირველი ტომები, უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახდა. ახლა მკითხველებმა მიიღეს შესაძლებლობა კვლავ იხილონ ისინი, ამასთან ერთბაშად ერთ ტომში. ახლახან გამოვიდა წიგნი „ხიდი კოსმოსში“ ლ. ტოლკუნოვისა და გ. ოსტროუმოვის საერთო რედაქციით. იგი ეძღვნება კოსმოსში იური გაგარინის გაფრენის 10 წლისთავს.

წიგნი „ხიდი კოსმოსში“ ილუსტრირებულია. (საკდესი).

ნარმოების სიახლენი

● **იავანი (ტაჯიკეთის სსრ).** მწყობრში ჩადგა იავანის თბოელექტროსადგურის მესამე აგრეგატი. მისი ამოქმედება უზრუნველყოფს ორელლისა და ელექტროენერგიის საიმედო მიწოდებას დუშანბეში ნურეკის ჰიდროელექტროსადგურისა და იავანის ელექტროქიმკომბინატის მშენებლობაზე.

● **როვნო.** აზოტის სასუქების ქარხანაში დამთავრდა ამიაკის წარმოების მესამე აგრეგატის მშენებლობა. აგრეგატის ამოქმედებით საწარმოს სიმძლავრე ერთიორად გაიზრდება.

● **ალმა-ათა.** მწყობრში ჩადგა უნილ-ორდის ცელულოზა-მუყაოს კომბინატის მოქმედი მეორე რიგი. აქ უშვებენ სტარო გოფრირებულ მუყაოსა და ვიტამინიზებულ საფუარს მეცხოველეობის საჭიროებისათვის.

● **კლაიპედა.** დასახულ ვადაზე ერთი კვირით ადრე დანიშნულების ნავსაღგურში — ქამჩატკის პეტროპავლოვსკში — გაგზავნეს „ბალტიის“ გემთსაშენებელი ქარხნის ხომალდმშენებლებმა ახალი ტრალერი „კალიტკა“. ეს უკვე მეხუთე ტრალერია, რომელიც კლაპედაში ააგეს შორეულაღმოსავლეთელი მებადურებისათვის.

● **ორჯონიკიძე (დნეპროპეტროვსკის ოლქი),** ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებით დაიწყეს ახალი წელი ნიკოპოლის მანგანუმის აუზის მაღაროელებმა. დღეს ორჯონიკიძის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში მადანი გამოუშვა მძლავრი ჩალოვის კარიერის მეორე რიგმა. კარიერის უზარმაზარი თასი გადაშლილია თითქმის 60 ჰექტარზე.

კარიერიდან გამამდიდრებელ ფაბრიკაში ყოველდღიურად მიიტანენ 1 მილიონ 200 ათას ტონაზე მეტ მადანს.

● **ბარნაული.** მარილის გადასამუშავებელი დიდი საწარმოო კომპლექსი ამოქმედდა ბურლინის მარილის სარეწში. საწარმო 330 ათას ტონა პროდუქტს გამოუშვებს წელიწადში.

● **ფრუნზე.** მაილი-საისკის ელექტრომოლაკების ქარხანამ უმაღლეს მწარმოებლობას მიაღწია. — უშვებს მილიონ მილაკს დღე-ღამეში. საწარმოში ამოქმედდა კიდევ ერთი ნაკადური ავტომატური ხაზი, რომელსაც უნგრული მოწყობილობა აქვს.

ახლა ყირგიზეთის ელექტრომოლაკების ქარხანა უშვებს რამდენიმე ათეული სახეობის სხვადასხვა პროდუქციას — დიდი მილაკიდან მინიატურულ სანათამდე, რომელიც ჯიბის ფარნებისათვის არის გათვალისწინებული.

(საკდესი).

„ბიდი კოსმოსში“

„ბიზვესტიის“ „კოსმოსური“ ბიბლიოთეკა ათობით წიგნს შეიცავს. მათგან პირველი წიგნი, რომელიც იური გაგარინის გმირობას მიეძღვნა, იმ ღირსსახსოვარ დღეებში გამოიცა. მას შემდეგ კარგ ტრადიციად დამკვიდრდა, რომ კოსმოსური სივრცის კვლევაში საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველ გამარჯვებას მიეძღვნას მცირეფორმატიანი წიგნი.

გასული ათი წლის მანძილზე ბიბლიოთეკის თაროებზე გაჩნდა: „700 ათასი კილომეტრი კოსმოსში“, „კოსმოსში ორნი არიან“, „ვარსკვლავავრცა ტრასების გმირები“, „კოსმოსში სამი საბჭოთა მოქალაქეა“, „ნაბიჯები კოსმოსში“, „მეათე სტარტი“, „ოთხეული ორბიტაზე“, „შვიდნი კოსმოსში“, „კოსმოსური მარათონი“, „მთვარის პანორამა“, „კოსმოსური ტექნიკის ორი სასწაული“, „ლუნა-16“ — კოსმოსური გეოლოგი“ და სხვ.

ბევრი, განსაკუთრებით „იზვესტიის“ „კოსმოსური“ ბიბლიოთეკის პირველი ტომები, უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახდა. ახლა მკითხველებმა მიიღეს შესაძლებლობა კვლავ იხილონ ისინი, ამასთან ერთბაშად ერთ ტომში. ახლახან გამოვიდა წიგნი „ხიდი კოსმოსში“ ლ. ტოლკუნოვისა და გ. ოსტროუმოვის საერთო რედაქციით. იგი ეძღვნება კოსმოსში იური გაგარინის გაფრენის 10 წლისთავს.

წიგნი „ხიდი კოსმოსში“ ილუსტრირებულია. (საკდესი).

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ 6 იანვარს კრემლში მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში რიმ თხე დიუნს სამშობლოში მის მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებით.

ნ. ვ. პოდგორნისა და რიმ თხე დიუნს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულითადობის, მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა

ნ. ვ. პოდგორნიმ მიულოცა რიმ თხე დიუნს კორეის გაერთიანებული პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე არჩევა და წარმატება უსურვა მუშაობაში სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის. (საკდესი).

ნ. ვ. პოდგორნის ინტერვიუ

ვაშინგტონი. 6 იანვარი. (სპკდესი). რადიოსატელევიზიო კომპანია „ეი-ბი-სის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა სახელმწიფო მდივანს როჯერსს, რომელმაც შეაჯამა გასული წლის შედეგები ამერიკის საგარეო პოლიტიკის დარგში.

უპასუხა რა კითხვაზე ამერიკის პოლიტიკის შესახებ ვიეტნამში, სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ მთავრობა „აქვლვ გაუწევს სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას“ საგონის რეჟიმს. მან უარი თქვა დაესახელებინა სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის შეიარაღებული ძალების გამოყვანის საბოლოო ვადები და აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ პრობლემას უკავშირებს, კერძოდ, საიგონის ახლანდელი რეჟიმის შენარჩუნებას.

კითხვაზე — ხომ არ აწუხებს მას, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის განახლებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს პრეზიდენტის გამგზავრებაზე პეკინში, სახელმწიფო მდივანმა უპასუხა: „ჩვენ ასე არ ვფიქრობთ“.

შემდეგ როჯერსმა უპასუხა სათანადო კითხვაზე და განაცხადა, რომ იცავდა რა იაჰია ხანის ანტიდემოკრატიულ რეჟიმს, ამერიკა „იცავდა თავის პრინციპებს“.

რაულ კასტროს განცხადება

ჰავანა, 6 იანვარი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირის დახმარება გადამწყვეტი, იყო, რათა ჩვენი აჯანყებული არმია გადაქცეულიყო თანამედროვე არმიად, რომელსაც ეკუთვნოდა პოლიტიკური შეგნების, ორგანიზაციისა და საბრძოლო მზადყოფნის მაღალი დონე“, — განაცხადა კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრმა რაულ კასტრომ. იგი გამოვიდა იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრების წინაშე, რომლებიც მონაწილეობდნენ კამაგუეის პროვინციაში გამართულ სამხედრო წვრთნაში.

ახლო და შუა აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარი ქვეყნები, რომლებიც კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდნენ, სულ უფრო მეტად იჩენენ სურვილს, რომ დამოუკიდებლად, ნავთობის იმპერიალისტური მონოპოლიების ნების წინააღმდეგ განაგებდნენ თავიანთი წიაღის სიმდიდრეს. თვალსა რიგმა განვითარებამ ქვეყნებმა ამას წინათ განახორციელეს ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაცია, რის შედეგადაც ნავთობის გაყიდვით მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი ახლა მათს სახელმწიფო ბიუჯეტში შედის და არა ექსპლოატატორთა სეიფებში.

(ბაზმეგიდან).



მეშვიდეების მსოფლიო საბჭოს მოწოდება

ჰელსინკი, 5 იანვარი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მსოფლიო საზოგადოებრიობას მოუწოდა აღნიშნოს 1972 წლის 9 იანვარი, როგორც პანამის არხის ზონაზე სუვერენიტეტის აღდგენისა თვის ბრძოლაში პანამელი ხალხისადმი სოლიდარობის საერთაშორისო დღე.

დაკა

მუჰიბურ რაჰმანს — თავისუფლება!

6 იანვარი. (საკდესი). ბენგალა დეშის მთავრობა და ხალხი აზორციელებენ ყველა აუცილებელ ღონისძიებას იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გათავისუფლონ და სამშობლოში დაბრუნდეს სახალხო ლიგის პარტიის ლიდერი მუჰიბურ რაჰმანი, განაცხადა ბანგლა დეშის პრემიერ-მინისტრმა ტაჯუდინ აჰმედმა.

აჰმედმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბანგლა დეშის ხალხი და მთავრობა ძალ-ონლის არ დაიშურებენ ამ მიმართულებით და იმედოვნებენ, რომ პაკისტანის პრ

პარტიული ცხოვრება

ლენინის ანდერძისადმი ერთგული კომუნისტური პარტია ყოველმხრივ ავითარებს სოციალისტურ შეჯიბრებას, ადამიანთა შემოქმედებითს აქტივობას და შრომითს ენთუზიაზმს წარმართავს კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს მშრომელთა ძალებისა და ენერგიის მძლავრი მოზღვავება, მათი აქტივობის ახალი აღმავლობა მეცხრე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს თვალნათლივ ჩანს თუნდაც თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მაგალითზე. ჩვენმა კოლექტივმა წარმატებით გაანალიზა რეალიზაციის, სახალხო პროდუქციის, მზა და ხამი აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების გასული წლის გეგმები. ყველაზე ნაყოფიერი იყო ხუთწლედის პირველი წელი აბრეშუმის უაკარდული ქსოვის ფაბრიკის კოლექტივისათვის, რომელმაც ვადამდე ორი კვირით ადრე გაანალიზა წლიური გეგმა, გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, დაზოგა დიდძალი ნედლეული.

გაერთიანებაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. კომუნისტური შრომის საამჭროს სახელწოდება მინიჭებული აქვს საპარტიო საამქროს, ხოლო ამ საპატიო სახელის მოსაპოვებლად იბრძვის 9 საამქრო.

ჩვენთან 44 კომუნისტური შრომის ბრიგადაა 280 მუშით. კომუნისტური შრომის დამკვრელია 1269 მუშა-მოსამსახურე, ამ სახელის მოსაპოვებლად კი იბრძვის 35 ბრიგადა და 1109 კაცი. სულ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში ჩაბმულია 2613 მუშა-მოსამსახურე. გაერთიანების მეთაური წარმოება კომუნისტური შრომის სახელს ატარებს.

832 მონარდე მუშა წარმატებით ასრულებს გამომუშავებულ ნორმებს.

მოწინავე ხაზზეა გაერთიანების ახალგაზრდობაც, რომლის დევიზია „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ახალგაზრდობის ძიება“. 840 კომკავშირელიდან 70-მა შეასრულა გასული წლის გეგმები საქართველოს კომკავშირის საიუბილეო დღისათვის, ე. ი. 4-ამი თვით ადრე.

საწარმოში ფართო გავრცელება ჰპოვა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველის მ. არათანაშვილის თაოსნობამ, რომლის დევიზია „ხუთდღიური დავალება — ოთხ დღეში“. შედეგიც საუკეთესოა. საკმარისია აღინიშნოს, რომ არათანაშვილის მიმდევრები, მჭსოველები ვიბლიანი, ქაჯაია, არხენაშვილი და სხვები ორი-სამი თვით უსწრებენ გრაფიკს.

ქვეოსტატები ყოველდღიურად აძლიერებენ მუშაობას შრომის საუკეთესო ორგანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზანდასახულად. ამ მხრივ საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ უაკარდული ქსოვის ფაბრიკის ქვეოსტატებს ტ. კომლამაზაშვილს, გ. ნიკურაძეს, ა. ქანდაშვილს, მეთაური წარმოების ქვეოსტატებს ვ. გიგეშიძეს, ა. ერგემლიძეს და სხვებს.

გასული წლის 4 დეკემბერს პარტიული კომიტეტის, საფაბრიკო კომიტეტისა და კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით მოეწყო გაერთიანების ვეტერან მუშაკთა შეხვედრა ახალგაზრდა მუშებთან. ამ შეხვედრაზე გადაწყდა მეთაურ წარმოებში შეიქმნას მუზეუმი, რომელიც მომავალ თაობას გააცნობს ქართული აბრეშუმის მრეწველობის განვითარების გზას. ექსპონატებად უწყვეტ ნაკადად მოდის, რადგან ფაბრიკის ძველ მუშებს ბევრი სამახსოვრო ნივთი, გაზეთი, ჟილდო შემოუნახავთ და ახლა ხიამოვნებით გადასცემენ ახალშექმნილ მუზეუმს.

გაერთიანებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტური შრომის სკოლების მუშაობის სწორად წარმართვას. მათი დანიშნულებაა მშრომელთა აღზრდა კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის სულისკვეთებით.

ავამაღლოთ მშრომელთა აქტივობა

პარტორგანიზაცია და შეჯიბრება

მხარდაჭერისა და გავრცელების ღირსია მოძრაობა საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის თვითეულ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების გადიდების კომპლექსური გეგმის საფუძველზე. გაერთიანებაში მიმდინარეობს მუშაობა შრომის ნაყოფიერების ამაღლების 1972 წლის პირადი გეგმების შესადგენად. ეჭვი არ არის, რომ ეს გეგმები წარმოების შინაგანი რეზერვების ძიებასა და გამოყენებაში მშრომელთა მონაწილეობის ქმედითი საშუალება იქნება. იგი გადაიქცევა მუშათა და წარმოების ხელმძღვანელთა ურთიერთდამოკიდებულების კონკრეტულ ფორმად, მათი ერთობლივი შემოქმედებითი შრომის ხელშეკრულებად.

პრაქტიკაში დავნერგეთ მუშათა დოსტატების კონკურსების მოწყობა. შარშან ასეთი კონკურსები ჩატარდა 70-მდე დასახელების ღონისძიება, რომლებიც ხუთ განყოფილებაშია განაწილებული.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდება წარმოების ტექნიკური ბაზის ამაღლების მიზნით.

ყოველივე ამის მიუხედავად ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი შრომის ნაყოფიერების ტემპების დაჩქარების, წარმოების რეზერვების სრულყოფილად გამოვლენების საქმეში. გაერთიანების კომუნისტების, პარტიული კომიტეტის ძირითადი უურადღება ამჟამად მიპყრობილია ჩვენი უველაზე ვიწრო უბნის — ხაოიანი ქსოვილების გამომშვები № 1 ფილიალისაკენ, რომლის მუშაობა ჯერჯერობით მოიკოჭლებს.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა და სიცოცხლისუნარიანობა მასების შეგნებულობასა და შემოქმედებითს აქტივობაშია. ამიტომ ყურადღებით ვსწავლობთ ყოველივე ახალს, მოწინავეს, რაც კი იბადება სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში, ვცდილობთ ყოველმხრივ განვავითაროთ მისი მონაწილეების აქტივობა. აუცილებელია ფართოდ გავავრცელოთ პირადი და კოლექტიური შემოქმედებითი გეგმების შემუშავების პრაქტიკა, შეჯიბრება პროფესიების მიხედვით, მრავალდაზგოსანთა მოძრაობა, გამოცდილ მუშათა შეფობა ახალგაზრდებისადმი, ოსტატობის კონკურსები, წარმოების რეზერვების საზოგადოებრივი დათვალიერებანი და სხვ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ ახალი ეტაპია ჩვენს მუშაობაში. ასრულებს რა პარტიის მითითებებს, ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, პარტიული კომიტეტი უკანასკნელ ხანებში უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ კომუნისტთა ავანგარდულ როლს სოციალისტურ შეჯიბრებაში, სულ უფრო აძლიერებენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, გაცილებით ქმედითად იყენებენ მასებში პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვან ფორმებს, ამაღლებენ პროფკავშირისა და კომკავშირის როლს.

ჩვენი ვალია თანმიმდევრულად ვახორციელებდეთ შეჯიბრების ლენინურ პრინციპებს — საჯაროობას, შედეგების შესადარებას, გამოცდილების პრაქტიკული განმეორების შესაძლებლობას. ძალიან მნიშვნელოვანია სწორად ვიყენებდეთ წამახალისებელ ღონისძიებებს, ამასთან განსაკუთრებით ვაძლიერებდეთ უურადღებას მორალური სტიმულირებისადმი.

ჩვენი გაერთიანების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტები სისტემატურად ამოწმებენენ ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკთა გამოსვლებს კოლექტივების წინაშე მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შესრულების, შეჯიბრების შედეგების შესახებ.

აქ არ შეიტანები მორალური სტიმულირების საყოველთაოდ ცნობილ ფორმებს, რომლებიც ჩვენთანაც არის დანერგილი. ვიტყვით მხოლოდ, რომ გამოვეძებნეთ სტიმულირების მთელი რიგი ახალი ფორმები და მეთოდები. გადაწყვეტილი გვაქვს ამიერიდან ზეიმით აღვნიშნოთ საწარმოში ახალგაზრდა მუშების მიღება, მათთვის დაზგების, სამუშაო უბნების ჩაბარება. მუშებს კარგა ხანია ვიულოცავთ დაბადების დღეს. საჭიროდ ვთვლით შემდგომში მათ მივულოცოთ აგრეთვე ქორწინების დღე, პირველი ხელფასის მიღების დღე და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები მათს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თვეზე ცოტა მეტი ხნის წინათ გამართულ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე კომუნისტებმა აქტიურად, საქმიანად განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანები, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებსა და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში იყო წამოყენებული. ახლა, როცა სამეურნეო წელი უკვე დამთავრდა და მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის მიჯნების აღებას შევუდექით, ჩვენს უველაზე მნიშვნელოვან ამოცანად ვთვლით ყოველმხრივ გავუკეთოთ ანალიზი გაწეულ მუშაობას, მთელი ძალები წარვმართოთ შრომითი კოლექტივის ახალ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად.

გ. ბაკურაძე,
თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში!

მიღწეული ზღვარი რეალია

კოლმეურნეობა საანგარიშო კრების წინ

ამ დღეებში „კომუნისტის“ ფურცლებზე გავეცანით წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის მშრომელთა წერილს. ამ წერილში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ უნდა ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კულტურა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კულტურის შემდგომ ამაღლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, მრეწველობისა — ნედლეულზე.

ახლა ჩვენ გაცხოველებით ვემზადებით საანგარიშო კრების ჩატარებისათვის. სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილება ბ ით აღფრთოვანებული ჩვენი კოლმეურნეები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლედში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

ანალიზს ვუკეთებთ რა ახალი ხუთწლედის პირველი წლის სამეურნეო შედეგებს, კრიტიკულად ვიფასებთ მიღწეულს, ვსახავთ გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედების გზებს. სიმართლე უნდა ითქვას, რომ გამოუყენებელი რეზერვები ჩვენთან მართლაც საკმაოდ არის. როცა გასული წლის შედეგებს ვამოწმებთ, ვრწმუნდებით, რომ შეგვიძლია მოვიმოქმედოთ უფრო მაღალი მაჩვენებლები.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენთან ახლა გაცხოველებით ვემზადებით საანგარიშო კრების ჩატარებლად. ამისათვის ჯულდასმით ვუკეთებთ ანალიზს არა მარტო გასული წლის, არამედ წინა წლების შედეგებსაც. ამ საქმეში ფართოდ ვიყენებთ კოლმეურნეობის ახალი წესდებით მონიჭებულ უფლებებს, კოლმეურნეთა საერთო კრებისათვის მზადებაში ჩავაბით ყველა პატიოსანი და ენერგიული მშრომელი.

მე ჩვენი კოლმეურნეობის წარსულითაც დავინტერესდი. მოვიკითხე, ვინც საკოლმეურნეო ბაღებში პირველი ძირი ციტრუსი დარგო, ვინც პირველი ხნული გაიტანა. ამას მიტომ ვაკეთებ, რომ საანგარიშო კრებაზე ჩვენს ახალგაზრდებს მოვუთხრო სოფლის ვეტერანებზე, მათს მამა-პაპათა სასახელო საქმეებზე. ჩემი აზრით, ეს ახალგაზრდებში ახალ პატრიოტულ აღფრთოვანებას გამოიწვევს, ჩვენს სოფელს უფრო შეაყვარებს, და შრომაში უფრო გაიქტიურდებიან.

ჩვენი კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე დურსუნ ვერულიძე მოვინახულე. სამოც წელს გადაცილებული, ეიკაკური აღნაგობის კაცია. დურსუნი სიამოვნებით გვიყამპარაკა წარსულზე. ძველის გახსენება სიამოვნებას ჰგვრის. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ჩვენს სოფლში ახალი ყოფაცხოვრების დამკვიდრების საქმეში მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი.

— მამაჩემს წიგნი უყვარდა. შვილებსაც შეგვიყვარა წიგნი, — გვითხრა დურსუნმა, — 1929 წელს ბათუმიდან მთავრობის ხალხი ამოვიდა სოფელში, მოედანზე შეგვიკრიბეთ თანასოფლელები. ჩაღრის ახდის საკითხს განიხილავდნენ. ზოგიერთი ჩვენი ქალი ჩაღრს აღარც ატარებდა, ახალ ყოფას ადგილად შეეჩვევნენ. მახსოვს ალი ვერულიძის მეუღლე, ვარდომ საჯაროდ მოიხადა ჩაღრი და იქვე, ხალხის თვალწინ დაწია. მას სხვებმაც მიბაძეს. მაშინ მე კომკავშირელი ვიყავი, სიტყვით გამოვედი. ბათუმიდან ჩამოსულ ამხანაგს მოეწონა ჩემი გამოსვლა და კრების შემდეგ ცალკე მესაუბრა — კოლმეურნეობა უნდა ჩამოაყალიბოთო.

პირველად შვიდი კაცი გავერთიანდით კოლმეურნეობაში, ერთი თვის შემდეგ კი თხუთმეტი ოჯახი შემოგვიერთდა. ამის შემდეგ კოლექტივურ შრომას ძალა მიეცა. ბათუმიდან აგრონომი დონდოლაძე დაგვახმარეს, საყანეები მივიზომეთ, მიწები გავაერთიანეთ და კოლმეურნეობას „პირველი ნაბიჯი“ ვუწოდეთ. 1930 წელს ჩაის პლანტაციები გავაშენეთ, მანდარინის ნერგებიც დავრგეთ. მერე მიწა არ გვეყო და ტყე გავჩეხეთ, ნაყოფიერი მიწები მივიმატეთ. ციტრუსებმა კარგად იხარა. შვიდი წლის შემდეგ სოფელში სამი კოლმეურნეობა იყო. სამივე გაგიერთიანეთ. კოლმეურნეთა კრებაზე მსჯელობა გაიმართა იმაზე თუ რა დაგვერქმია გამსხვილებული კოლმეურნეობისათვის. ერთმა კოლმეურნემ (გვარი აღარ მახსოვს) გაზეთი „კომუნისტი“ მაღლა ასწია და თქვა — — ამ გაზეთის სახელობისა იყოს ჩვენი კოლმეურნეობაო. ამას უველამ ერთხმად დაუჭირა მხარი, და აგერ ოცდათოთხმეტი წელია ჩვენი საყვარელი გაზეთის სახელობისაა კვირიკეს კოლმეურნეობა.

დღევანდელ კვირიკელ ახალგაზრდებს ისიც უნდა მოვაგონო, თუ თანდათან როგორ ძლიერდებოდა სოფელი, როგორ იქმედებოდა კოლმეურნის შესანიშნავი მომავალი. სოფლის ბატონ-პატრონი ხალხი გახდა. განახლებულ მიწაზე შრომა საამურია. სოფელმა თანდათან იცვალა სახე, მტკაველი მიწაც არ დარჩენილა უსაყოფო. ჩაიმ და ციტრუსებმა გვეხსახელა. ეს კულტურები ჩვენნაირ ადამიანებს ეწყალობა.

ყოველ საანგარიშო კრებაზე დიდ ყურადღებას ვუთმობთ ჩაისა და ციტრუსების ფართობების შემდგომ გადიდებას, მოსავლიანობის მატებას.

კოლექტიურმა შრომამ ბევრ კვირიკელ კოლმეურნეს გაუთქვა სახელი. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქეთევან ვერულიძე, რომელმაც სოციალისტური შრომის გმირობა დაიმსახურა. მას არ ჩამორჩებიან ზ. ზაქარიაძე, ნ. ჯინჭარაძე, დ. ვერულიძე და ბევრი სხვა. მოწინავე მეჩაიეები ყოველწლიურად ზრდიან მიწის ნაყოფიერებას. ჰექტარზე წელიწადში ექვს ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს კრეფენ.

მომავალ საანგარიშო კრებაზე დიდ ყურადღებას დავუთმობთ ყოველ ჰექტარზე მოსავლიანობის გადიდებას. საანგარიშო დარგის მუშაკები სპეციალისტებთან და მოწინავე კოლმეურნეებთან ერთად ანგარიშობენ, მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ გადიდდეს ჩაისა და ციტრუსების წარმოება. ამასთან დიდი ყურადღება მიექცევა პროდუქტების გაიაფებას, დარგების რენტაბელობას.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მომზადებაში კოლმეურნეობის მთელი აქტივი მონაწილეობს. ეს დიდ დახმარებას გაგვიწევს კოლმეურნეობის შემდგომი წინსვლის საქმეში. ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის!—ეს ჩვენი მოქმედების დევიზი. ყოველივე ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ვიცით, ვგრძნობთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობა ჯერ კიდევ ისეთი არ არის, როგორც ამას პარტია მოითხოვს. ჩვენი მიზანია უახლოეს მომავალში კვირიკელები არა მარტო ქობულეთის რაიონში, არამედ მთელ საქართველოში ქებით მოიხსენონ.

გარდა ამისა, საანგარიშო კრებაზე ფართოდ ვიმსჯელებთ სოფლის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. მართალია, გასულ წელს შეავსრულეთ ჩაისა და ციტრუსების დამზადების გეგმები, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. მომავალში, ამასთან ერთად, მეტი ყურადღება მიექცევა კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, წარმოებაში ტექნიკის ფართოდ დანერგვის, მძიმე ფიზიკური შრომის შემსუბუქების საკითხებს. ამ ბოლო წლებში ავაშენეთ საშუალო სკოლა, ბაგა-ბაღი, ხიდები, მთავარ და საბრიგადო გზებზე დავაგეთ ასფალტი. წელს დავიწყებთ კლუბ-კინოს ახალი შენობის აშენებას, გაივიყვანთ წყალსადენს და სხვ.

მომავალ საარჩევნო კრებაზე ჩვენს მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის აქტიურად ვიბრძოლებთ. ამით სიპატიო წვლილს შევიტანთ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში და კვირიკეს „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩადგება.

შ. მეგრელიძე,
ქობულეთის რაიონის კვირიკეს გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექსპერიმენტულ მეურნეობაში დასრულდა ჩეხოსლოვაკიის ფირმა „ვიტკოვიჩის“ მიერ წარმოებული ოთხი ცილინდრული სენაჟისსაცავის მონტაჟი. ეს ნაგებობა 500 ძროხისათვის გათვალისწინებული მერძევეობის ელექტრომექანიზებული ფერმის ნაწილია. მას 16 ადამიანი მოემსახურება.

ფერმაში ცენტნერი რძის თვითღირებულება 9,1 მანეთი იქნება. მთელი კომპლექსი მწყობრში მიმდინარე წლის მაისში ჩადგება. სურათზე: ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსული ინვენტარი (მარცხნიდან მარჯვნივ) ანტონინ ბზილიკი და რუდოლფ ციბულეიკი ქართველ ინჟინერ ბადრი შუბაშვილთან ერთად აზუსტებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმას.

ფოტო ა. რუსაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საბრძოლო პროგრამა

პარტიული აქტივების კრებებზე

რესპუბლიკის რაიონებში იმართება პარტიულ ორგანიზაციათა აქტივების კრებები, რომლებიც ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგების განხილვას. გამოხატავენ რა კომუნისტების, ყველა მშრომელის აზრს, კრებების მონაწილენი მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მის დადგენილებას პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობის შესახებ, რომელიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გამო. გამოსულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მოიწონა პლენუმმა და მიიღო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, ყველა საბჭოთა ადამიანმა აღიქვა მოქმედების საბრძოლო პროგრამად.

თელავის რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ **ე. ჯაფარიძემ.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგემ **ო. აბესაძემ** მოხსენება გააკეთა **ხობის** რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე.

გორის რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ.**

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრმა **ი. ხარატიშვილმა** მოხსენება გააკეთა **ზუგდიდის** რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე.

მარნეულის რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. ხუციშვილმა.**

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა **ა. კელენჯერიძემ** მოხსენება გააკეთა **აბაშის** რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციებში კრებების მონაწილენი იწონებენ და სავსებით უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ისინი აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ პარტიის მიერ მეცხრე ხუთწლედში დასახული ამოცანები წარმატებით შესრულდება. (საქდესი).

ეუდამ ცხოვრებასთან ახლოს

კროფკავშირულ კონფერენციაზე

ბაიმართა კულტურის მუშაკთა პროფკავშირის IX რესპუბლიკური კონფერენცია, რომელშიც მოისმინა რეს უბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ვ. გოგიაშვილის საანგარიშო მოხსენება და სარევიზიო კომისიის ანგარიში.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა — კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. სარაჯიძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, კინორეჟისორმა მ. ჭიაურელმა, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ კომუნისტური შრომის დამკვრელმა მ. ყველიაშვილმა, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ბექიაიმ, მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. იაქაშვილმა, გურჯაანის რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ გ. ოყროშიძემ, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ბაშკოვმა და სხვებმა ლაპარაკეს საანგარიშო პერიოდში საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ღირსშესანიშნავ მოვლენებზე.

კულტურის დარგის დაწესებულებანი იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთი სერიოზული და დიდი უბანია. მათს კარგ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ერის წინსვლა, მაღალი კულტურა, ამაგალობა. დიახ, აქ იქმნება და ყალიბდება ერის კულტურის საგანძური. ამიტომ მის გამჯობესებულ მუშაობას დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი პარტია და მთავრობა.

ქართული საბჭოთა კულტურის. ხელოვნების, ლიტერატურის, კინოს, ტელევიზიისა და რადიოს, პრესის, გამომცემლობების, პოლიგრაფიული საწარმოების, წიგნით ვაჭრობის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის და კულტურის დარგის სხვა დაწესებულებათა მუშაკებმა, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით, თავიანთ მუშაობაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. ეს მკაფიოდ აისახა კულტურის მუშაკთა პროფკავშირის — ამ ერთ-ერთი მრავალდარგოვანი და მუშაობის ფრაზაარსითაც მეტად მრავალფეროვანი ორგანიზაციის — კონფერენციაზე.

მიღწევები შემოქმედებითი დაწესებულების საქმიანობაში, საბჭოთა ხელოვნების წარმატებით განვითარება, როგორც აღინიშნა, განაპირობა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ დიდმა საქმიანობამ, რომელიც ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების პრაქტიკულად შესრულებისათვის.

პროფკავშირის რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ადგილებზე აქტიურად ეხმარებოდნენ შემოქმედებით დაწესებულებებსა და მათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს კონკურსის ჩატარებაში, საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებების, ციკლების, სცენარების, სპექტაკლების, მხატვრული და ქრონიკალურ-დოკუმენტური კინოფილმების, მუსიკალური, სასვეთი ხელოვნების ახალი ნაწარმოებების შექმნაში.

სათანადო წარმატებები აქვთ პარტიის იდეოლოგიური ფრონტის რთული და დიდმნიშვნელოვანი უბნის — პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებს. ისინი წარმატებით ეწევიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა პროპაგანდას მასების კომუნისტურად აღზრდისათვის, თვალსაჩინოს ხდიან ჩვენი ხალხის გმირულ შრომას ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, განუმარტავენ მასებს ახალ, პროგრესულ და მნიშვნელოვან მოვლენებს.

კონფერენციაზე ფართოდ იქნა განხილული თეატრებისა და თეატრალურ დაწესებულებათა, კინოსტუდიის, კომპოზიტორთა და მხატვართა კავშირების, ფილარმონიის და სხვა უმოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის საკვანძო საკითხები, ბევრი კარგი სიტყვა ითქვა ამ ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანებზე; მაგრამ აქასთან ერთად აღინიშნა ბევრი ნაკლიც, კერძოდ მხატვრული აზროვნების ერთერთი დარგის — ლიტერატურის, თეატრალური და მუსიკალური კრიტიკის მისამართით.

ორატორები დაწვრილებით ეხებოდნენ სოციალისტური შეჯიბრების გაღლის, მშრომელთა ყოფაცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხებს, საორგანიზაციო-მასობრივი და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის ღონისძიებებს.

კონფერენციის დელეგატებმა აირჩიეს საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, მისი სარევიზიო კომისია, თავიანთი პროფკავშირის ყრილობისა და საქართველოს პროფკავშირთა მე-15 ყრილობის დელეგატები.

ე. მამალაძე.

წერილი არ დაგეჭდილა, მაგრამ...

რედაქციაში შემოვიდა სიგნალი, რომელიც ეხებოდა სოფელ ჭოგნარში წყალსადენის ელექტროგადამცემი ხაზისა და კლუბის მშენებლობის გაჭიანურების საკითხს.

ამ წერილთან დაკავშირებით თეჯოლის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ალ. ღიბრაძემ რედაქციას შეატყობინა: 1969 წელს დაიწყო ნაგარევ-ჭოგნარ-კვახჭირის კოოპერირებული წყალსადენის მშენებლობა, რომელიც პროექტით გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1972 წელს. მშენებლობა მიმდინარეობს. მიღებულია ყოველგვარი ზომები, რომ წყალსადენი პროექტით გათვალისწინებულ ვადებში ამუშავდეს.

სოფელში ელექტროგადამცემი ხაზისა და კლუბის მშენებლობა დამთავრებულია.

„კომუნისტის“ გუშინდელი ფოსტიდან

ამბები სტრიქონებში

● **სიღნაღი.** ამ დღეებში სოფელ ბოდბისხევის საშუალო სკოლამ ახალმოსახლეობა იდღესასწაულა. ახალ სასკოლო შენობას აქვს ფართო და ნათელი საკლასო ოთახები, ეთნოლმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი.

გ. ბაბაშვილი.

● **თელავი.** ფშავლის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო შაბათობა ფშავლის საშუალო სკოლის ახალი შენობის მშენებლობაზე. შაბათობაზე მონაწილეობას იღებდა ორმოცდაათამდე კომკავშირელი.

შ. ჯაფარიძე.

● **ბათუმი.** საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა საბავშვო ბიბლიოთეკამ ბათუმში მოაწყეს საბავშვო ბიბლიოთეკების მუშაკთა სამდღიანი თათბირ-სემინარი.

მოხსენებები და ლექციები წაიკითხეს რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორმა გრ. მუხაშავრიამ, ბათუმის პედინსტიტუტის ლექტორებმა ა. სურგულაძემ, ა ართილაყვამ, ვ. აფხაზავამ.

თათბირ-სემინარის მონაწილენი გამოცდილების გაზიარების მიზნით იყვნენ აგრეთვე ქ. ქობულეთში.

ბ. ჩხაიძე.

იმ ჟურნალისტებს ლოთა ამოსაგონებლად

ღვაწლმოსილი არტილერისტი

ლამაზი და მომხიბვლელი კუთხეა ამბროლაურის რაიონის სოფელი თხმორი. აქ, ამ შესანშავ სოფელში ცხოვრობდა გამრჯე გლეხი დომენტი გიორგობიანი. მას შვიდი ვაჟი ჰყავდა — ავქსენტი, აკაკი, ვახტანგი, ევტიხი, გაბრიელ, იოსებ და გიორგი. დიდი სამამულო ომის პირველივე დღიდან შვიდივე ძმა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ სამართლიანი ომისადმი ერთგული კომუნისტური პარტია ყოველმხრივ ავითარებს სოციალისტურ შეჯიბრებას, ადამიანთა შემოქმედებითს აქტივობას და შრომითს ენთუზიაზმს წარმართავს კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს მშრომელთა ძალებისა და ენერგიის მძლავრი მოზღვავება, მათი აქტივობის ახალი აღმავლობა მეცხრე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს თვალნათლივ ჩანს თუნდაც თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მაგალითზე. ჩვენმა კოლექტივმა წარმატებით გაანალიზა რეალიზაციის, სახალხო პროდუქციის, მზა და ხამი აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების გასული წლის გეგმები. ყველაზე ნაყოფიერი იყო ხუთწლედის პირველი წელი აბრეშუმის უაკარდული ქსოვის ფაბრიკის კოლექტივისათვის, რომელმაც ვადამდე ორი კვირით ადრე გაანალიზა წლიური გეგმა, გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, დაზოგა დიდძალი ნედლეული.

გაერ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ

- ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ- ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲘ
- ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲥᲝᲤᲬᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲜᲐᲝᲛᲓᲔᲒᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲗ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲑᲐᲜᲓᲚᲐ ᲓᲔᲨᲘᲓᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜ მივფრინავთ ინდოეთის სამხედრო-საჰაერო-ძალების ვერტმფრინავით, რომელმაც კალკუტის აეროდრომიდან კურსი აიღო ბანგლა დეშის დედაქალაქ დაკისაკენ. ვერტმფრინავიდან კარგად მოჩანს აღმოსავლეთ ბენგალიის პალმის კორომებში ჩაფლული პატარა სოფლები, გზატკეცილები, რომ ლ ე ბ ი ც მწვანე ბრინჯის ყანებში მიიკლაკნება. ვხედავთ მინდორში მომუშავე გლეხებს, ერთ-ერთ მდინარეზე ვხედავთ მეგადურებს, რომლებიც ნავებიდან ისვრიან თავიანთ ბადეებს.

ჩემს წინ მჯდომი მეორე პილოტი მომიბრუნდა და მითხრა: სულ რამდენიმე დღის წინათ, ამ ადგილს რომ ვ ადავუფრინე, ჩამკვდარი მომეჩვენა. ახლა კი, როცა ლტოლვილები უბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ ადგილებს, აქ ნორმალური ცხოვრება იწყება".

აღმოსავლეთ პაკისტანში მომხდარი ტრაგიკული ამბების შემდეგ, რომელთა შედეგად მილიონობითი მისი მცხოვრები იძულებული იყო თავშესაფარი მეზობელ ინდოეთში იეძებნა, რამდენჯერმე მომიხდია ინდოეთის სასაზღვრო შტატებში ყოფნა, შევხვედრივარ და მისაუბრია აღმოსავლეთბენგალელ ლტოლვილებთან. გამხდარი, ქანცგაწყვეტილი მამაკაცები და ქალები, შეშინებული მოხუცები და ბავშვები — ასეთები იყვნენ ისინი მაისსა და ოქტომბერში. ისინი მდუმარედ მიაბიჯებდნენ ინდოეთის გზებზე, შეძრწენებული იმით, რაც თავს გადახდომოდა. ახლა კი ვხედავდი სულ სხვა ადამიანებს, რომლებსაც სულ ცოტა ხნის წინათ არ ჰქონდათ სამშობლო, ახლა კი კვლავ მოიპოვეს იგი.

მათი სამშობლოა ბანგლა დეშის რესპუბლიკა, და თითოეული მისი მოქალაქე ამ დღეებში ბრუნდება სამშობლოში, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა. ერთი მათგანი — ჯესორის გარეუბნის მცხოვრები გლეხი ფაკირ აზიზუდინი ჩვენთან საუბარში იგონებს იმ კოშმარულ დღეს, როცა მის სოფელში მოვიდნენ დასავლეთ პაკისტანის ჯარისკაცები. ისინი ძარცვავდნენ, წვავდნენ სახლებს, აუპატიურებდნენ ქალებს, ხოცავდნენ იმათ, ვინც წინააღმდეგობას უწევდა. „მაგრამ ახლა ჩემი სამშობლო თავისუფალია, — ამბობს იგი. — მე და ჩემი მეზობლები ბედნიერი ვართ, რომ ინდოეთის არმიამ და ჩვენმა განთავისუფლების ძალებმა განდევნეს პაკისტანელები ჩვენ ჭარისკაცები. ახლა დარწმუნებული ვართ, რომ შეეძლებთ მშვიდობიან ცხოვრებასა და მუშაობას მიწა-წყალზე". ეს ტიპიური ამბავია, რომელსაც გაიგონებთ ათასობით ადამიანისაგან, რომლებიც ამ დღეებში აღმოსავლეთ ბენგალიაში ბრუნდებიან.

ბანგლა დეშის რესპუბლიკის დედაქალაქი დაკა შეგვხვდა თავისი მცხოვრებლების უდიდესი ენთუზიაზმით, რომლებიც აღფრთოვანებით ზეიმობდნენ თავისუფლების პირველ დღეებს. ყველგან იმართება სტიქიური მიტინგები, რომლებზეც გამოდიან სულ ახალგაზრდა ჭაბუკები. მათ აცვიათ „მუქთი ბაჰინის" რაზმების პატრიზანთა მწვანე ფორმა. ერთი მათგანი — მაღალი კუნთოვანი ჭაბუკი, რომლის სახეს მორცხვი ღიმილი ამშვენებს, აღმოჩნდა „მუქთი ბაჰინის" კაპიტანი. ეს არის მ. ა. აჰმადი, იგი სულ 26 წლისაა, და წინათ, ისევე როგორც ათასობით პატრიოტი, ჩვეულებრივი სამოქალაქო მოსამსახურე იყო, როცა დასავლეთ პაკისტანის არმიამ ტერორი და რეპრესიები დაატეხა თავს მისი სამშობლოს მოსახლეობას, იგი პარტიზანი გახდა.

ერთ-ერთ პარტიზანულ ბაზაში ხანმოკლე სამხედრო მომზადების შემდეგ აჰმადი სათაყვანო ჩაუდგა განთავისუფლების ძალების რაზმს. „მე პროფესიონალი სამხედრო არა ვარ, — ამბობს იგი, — და სხვადასხვა გარემოების გამო ჩავიბი ომში. ჩემი ყველაზე სანუკვარი ოცნება ჩავიდე მამასთან სოფელში, სადაც გვაქვს მიწის პატარა ნაკვეთი და გავხდე ფერმერი". აჰმადმა მაგრად ჩამოგვართვა ხელი, როცა შეიტყო, რომ საბჭოთა ჟურნალისტები ვართ.

„დიდმა საბჭოთა ხალხმა მხარი დაგვიჭირა ჩვენი ისტორიის მძიმე ომს, — თქვა მან, — და არასოდეს არ დავივიწყებთ ამას". ჩვენს გარშემო უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველას სურს ხელი ჩამოართვას საბჭოთა ადამიანებს, მთელი გულითა და სულით მხურვალე მადლობა გადაუხადოს საბჭოეთის ხალხსა და მთავრობას, რომელიც მუდამ მხარს უჭერდა მსოფლიოს ხალხთა სამართლიან ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის.

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲑᲐᲜᲓᲚᲐ ᲓᲔᲨᲘᲓᲐᲜ

ᲓᲐᲙᲐᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲦᲘᲓᲔᲡᲘ ᲠᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲣᲦᲘᲐᲗ ᲥᲕᲔᲛᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲢᲝᲛᲠᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲭᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲠᲘᲤᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐᲜ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲑᲐᲜᲒᲚᲐ ᲓᲔᲨᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲓᲐᲙᲐ ᲨᲔᲒᲒᲕᲮᲕᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ. ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲢᲘᲥᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲢᲘᲜ�გᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲧᲠᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘ. ᲛᲔᲒᲐᲓᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲘᲗ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲤᲔᲠᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲘᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲬᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲕᲠᲝ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲘ.

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

ᲛᲝᲜᲔᲚᲘ მსოფლიოს უყრადღება მიიპყრო ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ახალმა სკანდალურმა მხილებამ, რაც ცნობილი გახდა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" მთავრობის საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნების შედეგად.

პარიზი. პოლიტიკური სკანდალი, რომელიც ამხილებს იმათ ნამდვილ სახეს, ვინც ამუშავებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკურ კურსს, — ასე აფასებს ბევრი ფრანგული გაზეთი ამერიკის პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს, რომ თეთრ სახლში იმართებოდა საიდუმლო თათბირები ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის დროს. გაზეთი „პროვანსალი" წერს, რომ ამ ინფორმაციამ „თავზარი დასცა უმაღლეს სფეროებს" ვაშინგტონში.

ფრანგი პოლიტიკური მიმომხილველნი ყურადღებას უთმობენ იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და პეკინის პოზიციები ერთნაირია ინდოსტანის ნახევარკუნძულის ამბებთან დაკავშირებით. ვაშინგტონმა მტკიცედ დაუჭირა მხარი იაჰია ხანის რეჟიმს, წერს „ეკო", რადგან შეგნებული აქვს, რომ ამ მხარდაჭერას მიესალმება პეკინი.

დელი. ამერიკის პრესაში გამოქვეყნებული დოკუმენტები, წერს ინდოეთის გაკვლენიანი გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია", ამხილებენ ოფიციალური ვაშინგტონის მუხანათობასა და ფარისევლობას.

„ტაიმს ოფ ინდიას" ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ვაშინგტონს აშკარად ანტაინდური პოზიცია ეკავა მთელი კონფლიქტის მანძილზე. მან დაუფარავად დაუჭირა მხარი იაჰია ხანის სამხედრო რეჟიმს, რომელმაც უმაგალითო რეპრესიები დაატეხა თავს ბანგლა დეშის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

გაზეთი „პეტრიოტი" აღნიშნავს, რომ ვაშინგტონი შეეცადა შეედინა შეეყვანა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი თავისი განცხადებებით ამერიკის შეერთებული შტატების „ნეიტრალიტეტის" შესახებ, სინამდვილეში კი იგი გამოდიოდა ინდოეთის წინააღმდეგ.

ლონდონი. გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ცხადია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ანტაინდური პოზიცია ეკავა, აღნიშნავს გაზეთი „გარდიანი". ამერიკის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მე-7 ფლოტის ხომალდები გაგზავნა იმიტომ, რომ უზრუნველეყო ამერიკელ მოქალაქეთა ევაკუაცია. მაგრამ, როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, სინამდვილეში ეს ხომალდები გაიგზავნა წმინდა სამხედრო მიზნით და უწინარეს ყოვლისა იმ მიზნით, რომ შეგვაკავონ მოვხდინათ ინდოეთზე.

ბონი. „ამერიკის შეერთებული შტატების ახალი აფიორის მხილება", „ამერიკის მე-7 ფლოტს უნდა დაეშინებინა ინდოეთი" — ასეთი სათაურებით ბეჭდავს გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ" ვრცელ ინფორმაციებს ამერიკის პრესაში გამოქვეყნებული ახალი მამხილებელი დოკუმენტების შესახებ.

გაზეთი „ველტ დერ არბაიტი" წერს, რომ ამერიკის საგარეო-პოლიტიკური კურსი მძიმე კრიზისს განიცდის. ვაშინგტონში შეადგინეს ავანტურისტული გეგმები ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტთან დაკავშირებით, აღნიშნავს გაზეთი. (საკდესი).

ᲒᲐᲙᲝᲢᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

ᲓᲔᲚᲘ. 6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). თეთრი სახლის საიდუმლო მასალების გამოქვეყნება „აშიშვლებს ამერიკის იმპერიალიზმის უკიდურესად რეაქციული არსსა და მისი, როგორც ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ომის გამჩაღებლის როლს", — განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს მდივანმა ნ. კ. კრიშნანმა.

„ამასწინანდელი კონფლიქტის პერიოდში, — ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ ნ. კ. კრიშნანმა, — ნიქსონის ადმინისტრაცია ახორციელებდა ინდოეთის საწინააღმდეგო ღვარძლიან პოლიტიკას, რომლის კურსი მიზნად ისახავს იმას, რომ გაიჩაღოს ომის ალი ნახევარკუნძულზე. სავსებით ცხადია აგრეთვე, რომ ინდოეთის ოკეანეში ამერიკის შეერთებული შტატების მეშვიდე ფლოტის ხომალდების გაგზავნასთან დაკავშირებული პროვოკაციული წამოწყება მიზნად ისახავდა ინდოეთის დაშინებასა და შანტაჟირებას".

„ისევე როგორც წინათ გამოქვეყნებული პენტაგონის დოკუმენტები, განაგრძო ნ. კ. კრიშნანმა, ახლანდელი მხილებაც უცილობლად მოწმობს, რომ ნიქსონის ადმინისტრაციის პოლიტიკა მიზნად ისახავს აზიელების წაქეზებას აზიელების წინააღმდეგ, რათა გარდუვალი კრახისაგან იხსნას თავისი გაკოტრებული სტრატეგია".

ამერიკელი ჟურნალისტის მხილებანი, აღნიშნა ნ. კ. კრიშნანმა, მოწმობენ აგრეთვე, თუ რა მტრულ და რეაქციულ ძალებს უკავშირდება ამერიკის შეერთებული შტატების შიგნით მაოისტთა ხელმძღვანელობა, რათა მიაღწიოს თავის ვიწრო ნაციონალისტურ მისწრაფებებს აზიაში. ამერიკის ადმინისტრაცია, აღნიშნა ნ. კ. კრიშნანმა ამასთან დაკავშირებით, მაოისტურ ჩინეთს იყენებს როგორც ტროას ცხენს მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ჩაბუნთვის მიზნით.

„ამ სუბკონტინენტის ხალხებს, — განაცხადა დასასრულ ნ. კ. კრიშნანმა, — ახლა წინანდელზე უფრო ნათლად შეუძლიათ დაინახონ, თუ ვინ არიან მათი ნამდვილი მეგობრები და ვინ მტრები. მათ შეუძლიათ განასხვაონ საბჭოთა კავშირის ანტიიმპერიალისტური და განმათავისუფლებელი როლი ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის უხეში ნეოკოლონიალისტური პოლიტიკისაგან, რომელიც მაოისტურ ჩინეთთან ერთად მოქმედებს".

ᲠᲐ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). გახმაურებული ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა საიდუმლო თათბირების შესახებ, რომლებიც ინდოეთ-პაკისტანის კონფლ ი ქ ტ ი ს დროს მიმდინარეობდა, გრანდიოზულ პოლიტიკურ სკანდალს ამღვრევნებს. ასეთი დასკვნა გამოაქვს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსს".

„რამდენადაც, — წერს გაზეთი, — აშკარად განაწყენებული თეთრი სახლი სადავოდ არ ხდის გამოქვეყნებული დოკუმენტების აუთენტურობას, ისინი ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ პოლიტიკურ სამზარეულოზე, ამ შემთხვევაში იმ პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელსაც ბევრი ამერიკელი ანალიტიკოსი ეძახდა ლ კატასტროფულად მიიჩნევს.

ანდერსონის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები გვიჩვენებენ, თუ რამდენად შეუძლია მთავრობას შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრიობა. ისინი კვლავ გვიჩვენებენ, თუ რა ფაროდ იყენებენ გასაიდუმლოებას უშიშროების ალმით, რათა საქმის ნამდვილი ვითარება დაუმალონ საზოგადოებრიობას".

„საიდუმლოებისა და უშიშროების ფასადს მიღმა, რომლებიც მალავენ მთავრობის ბევრ მიზანსა და მოქმედებას, იდგა პოლიტიკა, რომელიც საზოგადოებრიობას სულ სხვაგვარად წარუდგენს, ვიდრე სინამდვილეში იყო", — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი".

„ის ფაქტი, რომ პაკისტანის მხეცური რეპრესიები ბენგალიელებისადმი უყურადღებოდ დატოვეს და ინდოეთს შეუწყვიტეს მოელი დახმარება, მაშინ როცა ეძებდნენ საიდუმლო საშუალებებს პაკისტანელთა შესაიარაღებლად, ზიზღის მომგვრელია პატიოსანი ამერიკელისათვის", — ხაზს უსვამს გაზეთი.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი პოზიცია ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის დროს ნაკარნახევი იყო მთავრობის განზრახვით განემტკიცებინა ამერიკის კავშირი ჩინეთთან, რომელიც აგრეთვე მხარს უჭერდა იაჰია ხანის სამხედრო რეჟიმს.

ეს „უკეთეს შემთხვევაში საეჭვო პოლიტიკაა", რომლის შედეგად „ამერიკის გავლენა ინდოეთში ყველაზე დაბალ დონემდე დაეცა, ხოლო საბჭოთა გავლენა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე მკვეთრად გაიზარდა" — დაასკვნის გაზეთი.

ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲙᲐᲛᲔᲠᲘᲡᲒᲐᲜ

ᲙᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲚᲐᲖᲘᲡ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲛᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲛᲐ 1967 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲘᲡ. ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘ, ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘ, ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲔᲑᲘ. ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲤᲣᲠᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲥᲪᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲮᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲐᲘᲗᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡᲐᲪ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐᲜ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲐᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲚ



ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში.

გვაცყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ვ. ცირეკიძე

ონი

სამანქანო გზა მთაში

რაიონულ ცენტრს დაშორებულ მაღალმთიან სოფელ ჭვებარამდე სამანქანო გზა არ იყო. და აი სორის სასოფლო საბჭოს, გადამშის კოლმეურნეობისა და ჭვებარის მოსახლეობის ინიციატივით გადაწყდა ამ შორეულ სოფელში შეეყვანათ საავტომობილო გზა.

დიდი და პატარა ერთსულოვნად გამოვიდა გზის მშენებლობაზე. განსაკუთრებული მონდომებით იმუშავეს ტრაქტორისტმა ბ. ხიდეშელმა, აგრეთვე ჭვებარელმა აქტივისტებმა დიმიტრი, საშა, ივანე და გარსევან ნანიშვილებმა, ბეძინა, ალიოშა, ვარლამ ალბორაშვილებმა.

ჭვებარელები სამანქანო გზით უკვე დაუკავშირდნენ რაიონულ ცენტრს.

ახალი ხელსადგური

სოფელ მთისკალთაში დაიდგა ახალი, მძლავრი ტელესადგური, რომელმაც საგრძნობლად გაუმჯობესა ტელეგადაცემების ხარისხი.

ახლა ონელები ტელეგადაცემებს პირდაპირ ჭუთაისის ტელესადგურიდან იღებენ.

ხელმარჯვე ოსტატი

რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ყურადღებას იპყრობს ხეზე კვეთილობის ექსპონატები. მათი ავტორია ჭიორელი თვითნასწავლი ხელოვანი გ. რეხვიაშვილი.

ხეზე კვეთილობის ნიმუშებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „აფრიკა იბრძვის, აფრიკა იმარჯვებს“. დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს ჯაჭვური კვეთა, რომელიც მთლიანად ხეშია გადაუბმელად შესრულებული. იგი 27 რგოლისაგან შედგება.

შრომაც, გართობაც

ონის სამკერვალო ფაბრიკის მუშებს შრომაც უყვართ და გონივრული გართობაც. ხელოვნების მოყვარულმა მკერავებმა აქ საესტრადო ანსამბლი შექმნეს. ახალგაზრდები დიდი მონდომებით სწავლობენ საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერებს, ამზადებენ ქორეოგრაფიულ ფრაგმენტებს.

კურორტები — ხალხის საკმაჯურში

კურორტოლოგიის დიდმნიშვნელოვან ხაკითხებს მიეძღვნა გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელიც ამას წინათ მოაწყო აქ ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. სესიის მონაწილეებმა განსაკუთრებული უყოადღება მოიქციეს ზემო რაჭის ბალნეოლოგიურ და სამკურნალო კურორტებს, დაუყენეს მათი რაციონალური გამოყენების პრობლემური საკითხები.

რუსეთის კურდღელი რაჭაში

რაიონის მცრომელები და ღონისძიებებს ახორციელებენ გარეული ნადირისა და ფრინველის მოსამრავლებლად. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ბოლო ხანებში ძნიშნელოვნად გადიდდა გარეული ცხოველების ისეთ უნიკალურ სახეობათა რაოდენობა, როგორიც არის ჯიხვი, არჩი, შველი და სხვ. სახარგებლო ნადირ-ფრინველთა მოსამრავლებლად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მონადირეთა რაიონული საზოგადოება. ამ დღეებში საზოგადოების ინიციატივით შემოიყვანეს და ნაკრძალ ადგილებში გაუშვეს 40 ცალი რუსეთის კურდღელი. ამ კურდღლის ჯიში კარგად ეგუება საქართველოს ტერიტორიას, აქვს დიდი წონა და გამრავლების სწრაფი უნარი.

სურათზე: ადმინისტრაციული სახლის შენობა კიროვის სახელობის მოედანზე ქ. ონში.

უვებულებების გრაფიკი

კონსულტაცია

გთხოვთ გვიამბოთ, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შვებულების მიცემის დროისა და რიგის განსაზღვრის რა წესებია დადგენილი.

მ. საველიევი.

კალენდარული წლის დამთავრებამდე ადმინისტრაცია პროფკავშირის საფაბრიკო-სახარხნო (საამქრო) კომიტეტთან ერთად ადგენს მომდევნო კალენდარულ წელს მუშებისა და მოსამსახურეების მიერ შვებულებების გამოყენების გრაფიკს. წლის დასაწყისამდე ეს გრაფიკი უნდა დაამტკიცონ ადმინისტრაციამ და ფაბქარხადგილკომმა.

გრაფიკის შედგენისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას, რომ შვებულების გამოყენების დრო, წესი და რიგითობა უნდა განსაზღვროს მოცემული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შვებულების მიცემა უნდა იგეგმებოდეს შეძლებისდაგვარად, თანაბარზომიერად მთელი წლისა და თვითეული თვის განმავლობაში.

შვებულებათა გამოყენების გრაფიკის შედგენისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას თვით მშრომელთა სურვილებიც, მაგრამ ისეთი ანგარიშით, რომ ერთსა და იმავე მუშაკს შვებულება რიგი წლების მანძილზე სხვადასხვა თვეებში ეძლეოდეს. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მორიგი შვებულება პირველი სამუშაო წლისათვის (რომელიც სამუშაოზე შესვლის დღიდან ითვლება) მიეცემულ უნდა იქნას მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში განუწყვეტელი მუშაობის თერთმეტი თვის გასვლის შემდეგ.

შვებულება მეორე და მომდევნო წლებისათვის შეიძლება მიეცემულ იქნას სამუშაო წლის ყოველ დროს გრაფიკის მიხედვით დადგენილი რიგითობის შესაბამისად. მაგრამ ზოგიერთი კატეგორიების მშრომელთ მორიგი შვებულება პირველ სამუშაო წელს მუშაკის თხოვნით შეიძლება მიეცეთ მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში განუწყვეტელი მუშაობის 11 თვის გასვლამდეც (ესე იგი ივანვამდე). მაგალითად, ქალებს — ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების წინ ან უშუალოდ მის შემდეგ, აგრეთვე არასრულწლოვნებს (ესე იგი იმ პირებს, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ), სამხედრო მოსამსახურეებს, თადარიგში დათხოვნილებს და ორგანიზებული შეგროვების წესით სამუშაოზე გაგზავნილებს — მუშაობის სამი თვის გასვლის შემდეგ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ სხვა შემთხვევაში.

თუ მუშა ან მოსამსახურე გადაყვანილ იქნა ერთი საწარმოდან, დაწესებულებიდან ან ორგანიზაციიდან მეორეში, შვებულება შეიძლება მიეცეს გადაყვანის შემდეგ მუშაობის 11 თვის გასვლამდე. მაგრამ თუ მუშაკს გადაყვანამდე 11 თვე არ უმუშავია ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, მაშინ მას შვებულება შეიძლება მიეცეს მის შემდეგ, რაც გადაყვანამდე და გადაყვანის შემდეგ საერთო ანგარიშით მუშაობის 11 თვე გავა.

შვებულების მიცემა უნდა ხდებოდეს ყოველწლიურად გრაფიკით დადგენილ ვადაში.

მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მუშის ან მოსამსახურისათვის შვებულების მიცემამ შეიძლება არახელსაყრელი გავლენა მოახდინოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის ნორმალურ მსვლელობაზე, მუშაკის თანხმობით და ფაბქარხადგილკომთან შეთანხმებით დაიშვება, რომ შვებულება გადატანილ იქნას მომდევნო სამუშაო წელს. ამასთან გადატანილი შვებულება შეიძლება შეერთებულ იქნას მომდევნო სამუშაო წლის შვებულებასთან.

ზედიზედ ორი წლის განმავლობაში შვებულების არ მიცემა აკრძალულია. ნებადართული არ არის შვებულების არ მიცემა მომდინარე სამუშაო წელს იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ, და იმ მუშაკებისათვის, რომლებსაც დამატებითი შვებულების მიღების უფლება აქვთ შრომის მავნე პირობებთან დაკავშირებით.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა 1972 წლის შვებულებათა გრაფიკის დამტკიცებისას ცალკე უნდა გაითვალისწინონ, რომ მშრომელებმა შეძლონ გამოიყენონ შვებულება სამუშაო წლისათვის, რომელიც მათ დაუმთავრდათ 1971 წლის 1 იანვრის შემდეგ. საქმე ის არის, რომ 1971 წლის 1 იანვრიდან იმასთან დაკავშირებით, რომ ძალაში შევიდა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები, კატეგორიულად აკრძალულია შვებულების შეცვლა ფულადი კომპენსაციის მიცემით (გარდა იმ შემთხვევისა, როცა დათხოვნილია მუშაკი, რომელსაც შვებულება არ გამოუყენებია), ეს კი იმას ნიშნავს, რომ შვებულება სამუშაო წლისათვის, რომელიც დამთავრდა 1971 წლის 1 იანვრის შემდეგ, არ შეიძლება შეცვლილ იქნას ფულადი კომპენსაციის მიცემით. იმ სამუშაო წლების გამოუყენებელი შვებულებისათვის, რომლებიც 1971 წლის 1 იანვრამდე დამთავრდა, ფულადი კომპენსაცია ფაბქარხადგილკომის თანხმობით შეიძლება გაეცემულ იქნას 1972 წელსაც.

„ტრუდ“, 5-I 72.

საქართველოს ამა-ბაგეთ

ერთწლიანი იურიდიული სკოლა

თერჯოლა. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის აძალლებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად თერჯოლის რაისაბჭოს აღმასკომთან შეიქმნა ერთწლიანი იურიდიული სკოლა, სადაც გაერთიანებული არიან სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები და მდივნები.

იურიდიული სკოლის მსმენელებისათვის ლექცია-მოხსენებებს კითხულობენ პარტიის რაიკომის მდივნები და ბიუროს წევრები, რაისაბჭოს აღმასკომის წევრები, სასამართლო-პროკურატურის მუშაკები. აქ ლექციებს კითხულობენ აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მუშაკები.

□

„მოსამართლე“ ჰიათურის თეატრში

ჰიათურა. (საკ. კორ.). ჰიათურის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უწვინა გ. ხუხუმვილის პიესა „მოსამართლე“. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ო. ალეკსიძემა. მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კ. კუკულაძეს. მუსიკა — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორ ლ. კილაძეს.

წიგნის თარო

„ვ. ი. ლენინი და ესთეტიკა“

გამომცემლობა „განათლებამ“ დასტამბა ნიკოლოზ ჯაშის წიგნი „ვ. ი. ლენინი და ესთეტიკა“, რომელშიც განხილულია ლენინური ეტაპი მარქსისტული ესთეტიკის განვითარებაში, ანალიზი აქვს გაკეთებული ლენინურ პრინციპებს ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის, ხალხურობისა და საერთოდ სოციალისტური კულტურის დიდი მემკვიდრეობის დარგში. ნაშრომში ლაპარაკია ხელოვნების არსის მეცნიერული გაგებისა და ასახვის მატერიალისტური თეორიის, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მრავალსმომცველი არსის შესახებ.

ნაჩვენებია სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების მეფეხელობის პროგრამის შემდგომი განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ, მოცემულია ესთეტიკაში რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის კრიტიკა, დასაბუთებულია იდეოლოგიური ბრძოლა ლენინური იდეების შუქზე.

წიგნის „ვ. ი. ლენინი და ესთეტიკა“ რედაქტორები არიან ა. ტყემლაძე და ბ. ჩხარტიშვილი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ვოლგის ავტოქარხნის კოლექტივმა კარგი შრომითი საჩუქარი მოამზადა საახალწლოდ: დამზადდა ავტომანქანა ვაზ-2102-ის (უნივერსალი) პირველი პარტია.

ახალი მანქანის კორპუსი, ძველი მოდელისაგან განსხვავებით, მოცულობით დიდი და გაუჭრობესებულია. აქვს უფრო დიდი ტვირთამბის საბარგო განყოფილება.

1972 წელს ახალი ავტომანქანის გამოშვებას სერიულად დაიწყებენ.

სურათზე: „ეიგული“-უნივერსალი წითელ მოედანზე.

(საკადრის ფოტოქრონიკა).

გოტვალდოვი-ჭუთაისი

ასე ჩაისახა მეგობრობა

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). შორს არის ჭუთაისიდან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქი გოტვალდოვი, მაგრამ მეგობრობამ მანძილი არ იცის.

გასულ ზაფხულს ჭუთაისში იყვნენ ბრნოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გოტვალდოვის ფილიალის სტუდენტები, სტუმრებმა ინახულეს წყალტუბო, გელათი, გეგუთი და სათაფლია. გამოსათხოვარ საღამოზე ჩეხოსლოვაკიელმა სტუდენტებმა თავიანთ სამშობლოში მიიწვიეს ჭუთაისელი სტუდენტები. ამას წინათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭუთაისის ფაკულტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი მეგობარ ჩეხოსლოვაკიას ეწვია. ისინი გაეცნენ გოტვალდოველ სტუდენტთა სწავლას, შრომასა და ცხოვრებას, იყვნენ პრაღაში, ბრნოში და ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქებში. ქართველმა სტუდენტებმა კვლავ მოიწვიეს ჩეხოსლოვაკელი მეგობრები ჭუთაისში.

ახე გაიბა მეგობრობის ძაფები.

გუნეგრივი გაზი ცხინვალში

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. („კომუნისტის“ კორ.) აქ დამთავრდა ბუნებრივი გაზის ძირითადი ტრასის გაყვანა და ქალაქთან შეერთება. ახალი წლის პირველ დღეს ცხინვალელთა ბინებში აკიაფდა ბუნებრივი გაზი. მოკლე დროში გაზით ისარგებლებენ ქალაქის სამრეწველო საწარმოებიც.

□

„საქართველოს აგიტატორი“ № 1

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ 1972 წლის პირველი ნომერი.

მეგობრობა აკავშირებს თბილისის პირველი და აბაშის საშუალო სკოლების მოსწავლეებს და პედაგოგიურ კოლექტივებს. მეგობრებს პირველად თბილისელი მოსწავლეები ეტუმრნენ. აქედან კი, არდადეგების პერიოდში თბილისელები მახპინძლობენ აბაშელ თანატოლებს. სკოლის საქტო დარბაზში მათ საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. აცნობენ თავიანთ სკოლას, დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

სურათზე: აბაშელი მოსწავლეები მეგობრებთან.

ფოტო ა. კაკბაძისა.

ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲨᲮᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲙᲐᲜᲫᲐᲠᲘ ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡᲐᲪᲐᲕᲘᲗᲐᲜ

ᲔᲡ მოხდა წყალტუბოში, ბენზინის ჩამოსასხმელ სადგურთან.

წყალტუბოს სათაო პარკსაშორების მძღოლმა ოთარ ბობოხიძემ ბენზინის მისაღებად ისე დააყენა სატვირთო ავტომანქანა, რომ ძრავი არ გამოუთრთავს. გულგრილმა მძღოლმა ერთ დაუდევრობას მეორეც დაუმატა — მანქანის ავზში უსწოროდ ჩაჰყო მილი და თვითონ ბენზინის ღირებულების გადასახდელად ჯიხურისაკენ გაემართა. ამასობაში მილი ამოვარდა, ბენზინი მთლიანად ძირს დაიღვარა. რაკი ძრავი ჩართული იყო, დაღვრილ ბენზინს ნაპერწკლები შეეხო. ავტომანქანა ცეცხლს ალში ჯაჭვდა. ხანძარი ბობოქრობდა. ახლა ყოველ წამს მოსალოდნელი იყო ბენზინსაცავის აფეთქება და ჯიხურში ბენზინის გამყიდველის დალუპვა.

ხანძარი რომ შენიშნა, შინაგან საქმეთა წყალტუბოს რაიონული განყოფილების საგზაო ზედამხედველობის უფროსი ავტოინსპექტორი ი. რევიშვილი, რომელიც იქვე ახლოს თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, შემთხვევის ადგილზე გაჩნდა. მან გადაწყვიტა ცეცხლმოდებული მანქანის საშიში ზონიდან გამოყვანა. სწორედ ამ დროს, ბედად გზაზე გამოჩნდა წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო კანტორის ავტომაწყე, რომელსაც ქომაგაშორელი დურმიშხან გელენიძე მართავდა. მძღოლმა მილიციის კაპიტანს განუცხადა, რომ მანქანაზე ტროსი აქვს, თან ალმოდებული მანქანის გამოყვანა შესთავაზა.

მძღოლმა დ. გელენიძემ უკუსვლით შეიყვანა მანქანა გამძვინვარებულ ცეცხლში. დრო რომ არ დაეკარგა, კაპიტანი ი. რევიშვილი გზადაგზა ტროსს ხსნდა. მამაცი ადამიანი საკუთარი სიცოცხლის რისკით, სუნთქვაშეკრული მივიდა ალმოდებულ მანქანასთან და ტროსი ჩაბა. მძღოლმა დ. გელენიძემ სწრაფად დაძრა ავტომაწყე და ალმოდებული მანქანა საშიშ ზონას გააცილა.

მთავარმა საფრთხემ გაიარა. მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. ჯიხურში მყოფი ადამიანი, რაკი ცეცხლის ენები კარებს მისწვდა, გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდა და უმწეოდ ყვიროდა. კაპიტანი რევიშვილი ახლა ჯიხურთან მივარდა, ორივე ცეცხლმაქრი ჩამოიღო, ხანძარი საბოლოოდ ჩააქრო და კაცი სამშვიდობოს გამოიყვანა.

ყველაფერი ეს, როგორც ეტყვიან, თვალის დახამხამებაში მოხდა. საზრიანობამ, მამაცი და კეთილი ადამიანების სამეგობრომ ეგირობამ ისნა ადამიანის სიცოცხლეც და სახელმწიფო ქონებაც.

მძღოლმა ო. ბობოხიძემ მაშინვე დააღწია თავი ხანძარს, მაგრამ ერთობ ძვირად დაუჯდა დაუდევრობა.

შ. ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔ,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲜᲔᲑᲖᲔ

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲛᲘᲡᲘ ტყორცნა მოულოდნელი და ზუსტია, როგორც დაშნის დარტყმა.

იგი ყოველთვის მოწინააღმდეგის კარის ახლოს არის ხოლმე და ელის ბურთს. „სვეტს“ თამაშობსო — ამბობენ წყალბურთელები. „თუ ნუგზარ მშვენიერაძემ თავისუფლად მიიღო ბურთი, ეს ასპრეზენტიანი გოლია“, — ასე მიანნია მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდის მეკარეს მიტიანინს. შესაძლოა სხვა გუნდების მეკარეები არ ეთანხმებოდნენ მას, მაგრამ ასეთ სიტუაციებში მათ ხშირად უხდებათ ბურთის გამოტანა საკუთარი კარის ბადიდან. ჩვეულებრივად ნუგზარის წინააღმდეგ თამაშობს ორი მცველი. როცა ბურთი მისკენ იგზავნება, ისინი საწინააღმდეგო ჩამოეცალებიან ხოლმე ნუგზარს. და მაინც მას გოლები გაჰქვს.

14 წლის ნუგზარ მშვენიერაძე სსრ კავშირის ნაკრების წევრია, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ევროპის 1970 წლის ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონი, უნივერსიადიადა და სსრ კავშირის ბეერი ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონი. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის შემადგენლობაში იგი ჩვენი ქვეყნის თასის მფლობელი გახდა. თუმცაღა, საქმე ტიტულებსა და ჯილდოებშიც როდი. მთავარი ის არის, რომ იგი ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და მრავლისაღმთქმელი მოთამაშეა. და ამას სულ რაღაც სუთ წელიწადში მიაღწია.

14 წლის ნუგზარი მოსკოვის „დინამოს“ აუზში მიიყვანა მამამისმა — სპორტში ამ ჭეშმარიტად ლეგენდარულმა პიროვნებამ. ათი წლის წინათ მან ითამაშა თავისი უკანასკნელი მატჩი, წყალბურთის მცოდნენი კი დღემდე იგონებენ მის ოამაშს. იმ ქვეყნებში, სადაც თამაში უხდება ნუგზარს, მასთან მიდიან გულშემატკივრები და ეკითხებიან, რას აკეთებს ახლა მამამისი, ალტაცებით ლაპარაკობენ პეტრე მშვენიერაძის თამაშზე. უფროსი მშვენიერაძე დიდხანს იყო მოსკოვის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების საუკეთესო თავდამსხმელი, საბჭოთა სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ელვარე „ვარსკვლავი“.

პატარა ნუგზარს კი წყალბურთი სრულებით არ აინტერესებდა. ცურვა იცოდა, მაგრამ სპორტს გულგრილად ეკიდებოდა. აუზს აკვარიუმი ერჩია, სადაც თევზები ჰყავდა მოშენებული. ფანჯარაზე ხასხს ზრდიდა. საერთოდ უაღრესად წყნარი საქმეებით იყო გართული. მაგრამ ერთხელ მამამ უთხრა: „შენ რა, გოგო ხარ?“ და მშვრთნელ გიორგი ხორგოვთან წაიყვანა.

ნუგზარი ყველაზე ნაკლებად გოგოს ჰგავდა. მაშინვე ჩანდა, რომ იგი ისეთივე მძლავრი იქნებოდა, როგორც მამამისი. ახლა კი, ხუთი წლის შემდეგ, ნუგზარი სავსებით შეძლებდა ეთამაშნა ოლიმპზე ალმავალი ჰერაკლე. თუმცაღა ოლიმპზე ასვლას ისევ შეძლებს, რომ ჰერაკლეს როლში არ გამოვიდეს: ოლიმპიადა მოახლოებულია!

რა თქმა უნდა, მარტო ფიზიკური ძალა წყალბურთში არაფრის გადამწყვეტი არ არის. არც მარტო ბუნებრივი ნიჭი. ძვირფას ქვასაც კი გათლა და დაწასნაგება უნდა. პეტრე მშვენიერაძე თვითონ ამეცადინებდა თავის შვილს, გადასცემდა მას ყველაფერს, რასაც თვითონ ფლობდა.

ორი წლის წინათ ნუგზარმა სკოლა დაამთავრა. საჭირო იყო გადაწყვეტა, რა გზას დასდგომოდა? და აქ ნუგზარის წინაშე იყო მამის მაგალითი: სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა პეტრე მშვენიერაძემ ინსტიტუტი დაამთავრა, შემდეგ დისერტაცია დაიცვა და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა.

ნუგზარი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, ეკონომიური ფაკულტეტის საზღვაგარგარეთის ქვეყნების ეკონომიკის განყოფილებაზე. სწავლის ადგილის არჩევამ გუნდის არჩევანიც განსაზღვრა. ნუგზარმა დაიწყო გამოსვლა მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივში — ჩვენი ქვეყნის ერთერთ ყველაზე თვალსაჩინო და საინტერესო გუნდში.

ეს მშვენიერაძისათვის ბედნიერი არჩევანი იყო. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ყველაზე ჭკვიანს ეძახიან. მისი თამაში აგრესიული და ელეგანტური. გუნდში შექმნილი ვითარება ახალისებს ინიციატივასა და დამოუკიდებლობას: ყველა მთავარ საკითხს (ტაქტიკის, თამაშისათვის შემადგენლობის არჩევა) წყვეტს მწვრთნელთა საბჭო, რომელშიც შედის გუნდის ხუთი ყველაზე აგრესიტიანი მოთამაშე. ხოლო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები მისეულ რიჟაკი და ანატოლი მახრინი კონტროლს უწევენ წვრთნის პროცესს, რისთვისაც იყენებენ თავიანთ უდიდეს გამოცდილებას, პირად ავტორიტეტსა და ტაქტს. ნუგზარი ორგანულად შეერწყა გუნდის შემადგენლობას, მისი ძირითადი ბომბარდირი გახდა.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში რომ თამაშობს, იგი წინანდელზე მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება სწავლას. გუნდის ბევრი მოთამაშე ცნობილია არა მარტო სპორტულ სამყაროში. სპორტის ოსტატები ბორის ჩერნიშოვი და ვლადიმერ რაშმაჯანი ჟურნალისტები გახდნენ, ვლადიმერ ედანოვიჩი — დიპლომატი, იგორ ზატვეახინი და გენადი მალუშკოვი — მეცნიერებათა კანდიდატები. დამწყები სტუდენტებისათვის ეს ცუდი მაგალითები როდია.

ნუგზარი სწავლობს, ვარჯიშობს, გუნდთან ერთად მსოფლიოში მოგზაურობს. 19 წლის ასაკში ბევრ რამეს მიაღწია. რას ესწრაფვის ახლა?

„მე მხოლოდ უკანასკნელ ხანს დავიწყე მუშაობა როგორც რიგია“, — გამოგვიცხადა ნუგზარი.

მას სურს უფრო ძლიერ ითამაშოს. მამამისს სჯერა, რომ მის შვილს შეუძლია მსოფლიოში ყველაზე ძლიერი თავდამსხმელი გახდეს. ეს თვითონ ნუგზარსაც ენდა სჯეროდეს.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲣᲠᲘᲙᲝᲕᲘ,

(ახალი ამბების საᲐᲒᲔᲜᲢᲝ).

10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ, ᲒᲔᲕᲔᲠᲕᲘᲘᲙᲨᲘ

10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ბეევრვიიკში (ჰოლანდია) იწყება ტრადიციული საერთაშორისო საჰადრაკო საახალწლო ტურნირი, რომლის შემადგენლობა ფრიად საინტერესოა. საბჭოთა კავშირიდან ბრძოლაში ჩაებმებიან მსოფლიოს ექსჩემპიონები ვ. სმისლოვი, მ. ტალი და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ვ. სავონი, ჩეხოსლოვაკიიდან — გროსმაისტერები ვ. ჰორტი და ი. სმეიკალი, იუგოსლავიიდან — გროსმაისტერები ბ. იჭკოვი და ლ. ლიუბოევიჩი.

ბევრი საინტერესო მონაწილე იქნება სხვა ქვეყნებიდან. მაგალითად, ავსტრალიიდან ითამაშებს 22 წლის უ. ბრაუნი, რომელსაც შარშან დიდი წარმატებები ჰქონდა. ბრაუნი მუდმივად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, მაგრამ ავსტრალიის მოქალაქეობა იმისათვის მიიღო, რომ ვიეტნამის ომში არ წაეყვანანთ. ბრაუნი მიისწრაფვის მსოფლიო ჩემპიონობის მოსაპოვებლად და თავის თავზე დიდი წარმოდგენაც აქვს. მისი განცხადებით, მსოფლიოს ჩემპიონობის გზაზე ერთადერთი მეტოქე — „შედარებით ახალგაზრდა რ. ფიშერი“ ჰყავს.

ბევერვიიკში ძირითად „გროსმაისტერთა“ ტურნირის გარდა მოეწყობა შეჯიბრება ოსტატთა შორის, მოგვიანებით კი ბრძოლაში ჩაებმებიან ქალები.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

პარიზის პოპულარულმა ჟურნალმა „გოლმა“ გამოაქვეყნა ფეიბზურთში ევროპის იდეალური ნაკრების შემადგენლობა 1971 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.

მეკარე — რუდაკოვი (საბჭოთა კავშირი); **დაცვა** — ფოგოსი (გფრ), შენტერნიოვი (საბჭოთა კავშირი), ბეკენბაუერი (გფრ), ფაკეტი (იტალია); **ნახევარდაცვა** — პირი (ესპანეთი), ნეტცერი (გფრ), მაცოლა (იტალია); **თავდასხმა** — ბესტი (ჩრდ. ირლანდია), კრუიფი (ჰოლანდია) და ჯაჩი (იუგოსლავია).

როგორც ჟურნალის მიმომხილველი რიპარი წერს, სეზონის მიხედვით აუცილებლად აღნიშვნის ღირსი არიან მეკარეები— ძოფი (იტალია), გეიი (უნგრეთი) და მაიერი (გფრ): მცველები — ჰაილენსი (ბელგია), ჰულსჰოფი, ისრაელი (ორივე ჰოლანდიიდან) ანტონიევიჩი (იუგოსლავია) და ძოძუაშვილი (საბჭოთა კავშირი); ნახევარმცველები — ბრემერი (შოტლანდია), ვან მური (ბელგია), შოლტისიკი (პოლონეთი), მაკკლინტოკი (ინგლისი), მუნტიანი (საბჭოთა კავშირი), ვან ჰენეგემი (ჰოლანდია); თავდასხმელები — ჯონსტონი (შოტლანდია), ვან ჰიმსტი (ბელგია) კეიტა (სენეგალეთი), ეუსებიო (პორტუგალია), სკოლარი (საფრანგეთში მოთამაშე იუგოსლავიელი), ჩივერსი და ლი (ორივე ინგლისიდან).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲠᲐᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

● **სსრ კავშირის ფეიბზურთის ნაკრების მომავალი მეტოქე მსოფლიო ჩემპიონატის შეხარჩევ მატჩში — ირლანდიის გუნდი საკუთარ მოედანზე შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოლიმპიურ ნაკრებს და გაიმარჯვა 3:0.**

● **ᲕᲝᲚᲔᲘᲑᲐᲚᲘᲡ** „ხიმკის“ ჰოკეისტთა გუნდი განაგრძობს ტურნეს ჩეხოსლოვაკიაში. მორიგი მატჩი საბჭოთა ჰოკეისტებს ჰქონდათ ქალაქ კოლინში ადგილობრივ საკლუბო გუნდთან — „ტატრასთან“ და გაიმარჯვეს 6:2 (3:1, 3:0, 0:1).

● **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ** უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში მსოფლიოს სამპრსის ჩემპიონი პელე არ იქნა შეყვანილი ბრაზილიის სიმბოლურ ნაკრებში, რომელიც შეადგინა გაზეთ „ესტადო დი სან-პაულუმ“ ბრაზილიის 65 წამყვანი ჟურნალისტის გამოკითხვის საფუძველზე. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ „ფეიბზურთის მეფემ“ ძალზე უკლო ბურთების გატანას. აღსანიშნავია, რომ მეკარიკის თერთმეტი გმირიდან, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, ბრაზილიის სიმბოლურ ნაკრებში მხოლოდ გერსონი, რიველინო და ჟაირზინიო შეეიდნენ.

ᲤᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

7 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — ქართული მხატვრული ფილმი „მანანა“, 13.00 — „მათთვის, ვინც ახლა ისვენებს“, 16.05 — ანიტურიუნტთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 17.15 — ანიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — ბავშვებისათვის „ჭეგობრების კონცერტი“, 18.40 — „ხუთწლედი მოქმედებაში“, 19.00 — დოკუმენტური ფილმი „ამერიკის გზა“ (ქართულ ენაზე), 20.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — კომპოზიტორ ვანო მურადელის სიმღერის საღამოს ტრანსლაცია ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — „ეკრანია“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.00 — კომპოზიტორ ვანო მურადელის სიმღერის საღამოს ტრანსლაცია ჩაიკ